საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყვეყა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 10 ოქტომბერი. 2019 წ. №201 (8867) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

მიზანი ყოველთვის არ ამართლებს საშუალებას!

ხელისუფლება, თუ ის თვითნებობს და ხალხზე ძალადობს, ბოროტების წყაროა, ამიტომ ის უნდა წავიდეს!

5

ამ პოლიტიკურ საქმიანობად წოდებულ ბინძურ თამაშში მთავარ როლს თავხედობის, უტიფრობის და უზნეობის ნიჭი და უნარი ასრულებს. ამ თამაშში ყველა დროის ქართული ნომენკლატურული ელიტა ხელმძღვანელობს პრინციპით: „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

გიორგი გახარია ილჰამ ალიევს:

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არ არსებობს მოუგვარებელი პრობლემები

2

სამუზეუმო ექსპონატები დაკარგვას გადაურჩება...

ისინი პრეზიდენტის რეზიდენციაში განთავსდება

4

ცოტნე – რუსთველური გმირი

ცოტნე დადიანის

6

დღე ხობში

7

წინ – წინაპრებისკენ!

თურქეთმა სირიაში ომი დაიწყო

თურქეთმა სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაცია დაიწყო.

შეგახსენებთ, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ანკარა მზად არის დამოუკიდებლად ჩაატაროს სამხედრო ოპერაცია თავის საზღვართან, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც თურქეთი და აშშ თავდაპირველად უსაფრთხოების ზონის შექმნაზე შეთანხმდნენ. ერდოღანს მიაჩნია, რომ ამერიკის ხელისუფლებამ თავისი დაპირება არ შეასრულა.

დამოუკიდებელი სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ თურქეთის ლიდერმა 1 ოქტომბერს განაცხადა. ხუთი დღის შემდეგ ის ტელეფონით ესაუბრა აშშ-ის პრეზიდენტს, რომლის შედეგების მიხედვით, თეთრმა სახლმა განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს თურქეთის ხელისუფლების მოქმედებებს სირიის ჩრდილოეთით. ამ რეგიონში განლაგებულია ქურთთა ძალები, რომლებიც აშშ-ს მოკავშირეები არიან, თურქეთი კი მათ ტერორისტებად მიიჩნევს. ტრამპი თურქეთს ეკონომიკის განადგურებით დაემუქრა, თუ ის „დაშვებულ ზღვარს გადავიდოდა“.

მიერთებულია თუ არა თბილისის ზღვაზე საკანალიზაციო ქსელები?

3

გიორგი გახარია ილჰამ ალიევს:

დარწმუნებული ვართ, მოყვარესაც და მტერსაც კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ, რომ არ არსებობს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ძმურად, მეგობრულად მოუგვარებელი პრობლემები

პრემიერ-მინისტრის **რანგში პირველი ვიზიტი აზერ-ბაიჯანში შემთხვევითი არ არის, რამეთუ დარწმუნე-ბული ვართ, რომ ამ ვიზიტით ჩვენ ჩვენს მოყვარეებ-საც და მტრებსაც კიდევ ერთხელ დავუმტკიცებთ, რომ არ არსებობს აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ძმურად, მეგობრულად მოუგვარებელი პრობლემები, —** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გი-ორგი გახარიამ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზი-დენტ ილჰამ ალიევთან შეხვედრისას განაცხადა.

საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის ოფი-ციალური ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში პრე-ზიდენტ ალიევთან პირისპირ შეხვედრით დაიწყო.

ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის სტრატეგი-ული პარტნიორობის ძირითად მიმართულებებზე, ორ-მხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგის მნიშვნე-ლოვან საკითხებზე და რეგიონული დატვირთვის პრო-ექტებზე, რომლებსაც საქართველო და აზერბაიჯა-ნი ერთობლივად ახორციელებენ.

პრემიერ-მინისტრმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს გულთბილი მასპინძლობისთვის მადლო-ბა გადაუხადა.

„ძალიან კარგად მახსოვს ჩვენი შეხვედრები, ძალიან გულწრფელი, ღია საუბრები, რაც ჩემთვის ძალიან დი-დი გამოცდილება იყო. აზერბაიჯანი და საქართველო უახლოესი მეგობრები და პარტნიორები არიან. ჩვენი პარ-ტნიორობა მართლაც გასცდა რეგიონულ მნიშვნელობას და საერთაშორისო დონის თემა გახდა, განსაკუთრებით ეკონომიკურ განზომილებაში, ენერგომატარებლების, ტრანსპორტის, ვაჭრობის სფეროებში. საქართველო და **აზერბაიჯანი მყარად და ურყევად უჭერენ მხარს ერთ-მანეთს საერთაშორისო ფორმატებში. რა თქმა უნდა, ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია და მადლობას გიხდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭე-რისთვის. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ჩვენს მოქა-ლაქეებს შორის ადამიანურ დონეზე ძალიან თბილი და მჭიდრო ურთიერთობები, რომელიც საუკუნეების ისტო-რიას და კულტურულ ურთიერთობას მოიცავს. როგორც ყოველთვის, დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ვი-ზიტი, საუბრები და საქმიანი განხილვები იქნება უაღ-რესად პროდუქტიული და კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს ყველას, ჩვენს მეგობარსაც და მტერსაც, რომ საქართ-ველო და აზერბაიჯანი ყოველთვის იპოვიან სწორ სიტყ-ვებს და გზებს არსებული პრობლემების გადასაწყვეტად“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გიორ-გი გახარიას საქართველოს მთავრობის მეთაურის თა-ნამდებობის დაკავება მიულოცა და პირველი საგა-რეო ვიზიტით აზერბაიჯანში სტუმრობისთვის მად-ლობა გადაუხადა.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ ბევრჯერ ყო-ფილხართ აზერბაიჯანში და სიამოვნებით ვიხსენებ თქვენთან გამართულ შეხვედრებს. მოხარული ვარ, რომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე პირველი საგარეო ვიზიტით აზერბაიჯანს ესტუმრეთ. ეს მოწმობს იმას, რომ **საქართველო და აზერბაიჯანი ახლო მეგობრები და პარ-ტნიორები არიან. ჩვენთვის საქართველო ყველაზე ახ-ლო მეგობარს, მეზობელს და პარტნიორს წარმოადგენს. ჩვენ გვაკავშირებს ისტორია, გეოგრაფია და ჩვენი ურ-თიერთობების განვითარებისთვის ეს მნიშვნელოვანი ფაქტორებია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ურთიერთობები ვითარდება და მრავალ სფეროს მოიცავს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და წარმატებით ვთანამშრომლობთ საერ-თაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები წარმა-ტებით ვითარდება და აზერბაიჯანი საქართველოსთ-ვის სიდიდით ერთ-ერთი პირველი ინვესტორია. ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობა, განსაკუთ-რებით ნავთობის, გაზის, ტრანსპორტის სფეროში, გას-ცდა რეგიონულ ფარგლებს და საერთაშორისო დონე-ზე ავიდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალ-ხთაშორის ურთიერთობებს. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები და აზერბაიჯანში მცხოვრები ქარ-თველები დიდ როლს ასრულებენ ამ ურთიერთობების განვითარებაში“,** — განაცხადა ილჰამ ალიევმა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქარ-თველოს პრემიერ-მინისტრს „ზაგულბას“ სასახლეში უმასპინძლა.

ილია მეორე:

სრულიად გაუგებარია აზერბაიჯანული მხარის დაჩემება

საქართველოს საპატრიარქო და-ვით-გარეჯთან დაკავშირებით კავკასი-ის მუსლიმთა სამმართველოს ხელმძღვა-ნელს შეიხ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფა-შა-ზადეს მიმართ სრულიად საქართვე-ლოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მე-ორის წერილს აქვეყნებს, რომელიც 4 ოქტომბრით თარიღდება.

„თქვენო აღმატებულებავ, მოგესალ-მებით ძმური სიყვარულით და აუცილებ-ლად მივიჩნევთ თქვენი ყურადღების მიპყ-რობას საქართველოს მართლმადიდებე-ლი ეკლესიის სამონასტრო კომპლექს და-ვით გარეჯისადმი; კერძოდ, იმ პრობლე-მასთან დაკავშირებით, რომლებიც შეიქ-მნა ამ ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი მე-საზღვრეების ცნობილი მოქმედებების შე-დეგად.

საქმე ეხება ორ მნიშვნელოვან საცხოვ-რისს — უდაბნოსა და ჩიჩხიტურს.

იურიდიულად და კარტოგრაფიულად ყველაფერი ცხადია: 1938 და 1996 წლების დადგენილებებით ქართულმა და აზერ-ბაიჯანულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ შეთანხმებას, რომლის თანახ-მად, სახელმწიფო საზღვრის ხაზი დამ-ტკიცდა რუკით, მასშტაბით 1:500000 (К-38-Г). ის გამოცემულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1936-38 წლებში შედგენილი რუკების საფუძველ-ზე მასშტაბით 1:200 000, რომელიც წარ-მოადგენს მთავარ სამუშაო მასალას ქარ-თული და აზერბაიჯანული მხარეებისთ-ვის დელიმიტაციისა და დემარკაციის სა-კითხთა კომისიის მუშაობაში.

ამის შესაბამისად, მონასტრები — უდაბ-ნო და ჩიჩხიტური დაფიქსირებულები არი-ან საქართველოს რესპუბლიკის სახელმ-წიფო საზღვრის ფარგლებში (განსხვავე-ბით ბერთუბნისგან, რომელიც ასევე, გა-რეჯის განუყოფელ ტერიტორიას წარმო-ადგენს, მაგრამ ამ რუკის მიხედვით, აღ-მოჩნდა აზერბაიჯანის ტერიტრორიაზე).

დღეს სრულიად გაუგებარია აზერბა-იჯანული მხარის დაჩემება, რომელმაც 2019 წლიდან, ფაქტობრივად, ჩამოგვარ-თვა მონასტრები ჩიჩხიტური და უდაბნო, რომლის მახლობლად, ჯერჯერობით გა-ნუსაზღვრელ ადგილზე, ააშენეს სასაზღ-ვრო სექტორი და ამ საცხოვრისებში სრულ-იად შეზღუდეს მომლოცველებისა და ტურისტების, ასევე სასულიერო პირების გადაადგილება, რასაც, ბუნებრივია, ჩვენ არ შევეგუებით.

რის საფუძველზე შეიცვალა დღემდე არსებული მდგომარეობა — გაუგებარია.

მივიჩნევთ, რომ ვიდრე არ დასრულ-დება დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესი, უნდა აღდგეს დღევანდელ დღე-მდე არსებული სტატუს-კვო და სასული-ერო პირებს, მომლოცველებსა და ტურის-ტებს მიეცეთ შესაძლებლობა, მოინახუ-ლონ უდაბნო და ჩიჩხიტური, მით უფრო, რომ ასეთ ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობის შენარჩუნება სავალდებუ-ლოა, ხოლო მეორე სახელმწიფოსთან შე-უთანხმებლად და მით უმეტეს ძალისმი-ერი ნაბიჯებით ვითარების შეცვლა და-უშვებელია.

ვფიქრობთ, რომ აზერბაიჯანის ხელი-სუფლება სათანადოდ შეაფასებს შექმნილ ვითარებას და მიიღებს სამართლიან გა-დაწყვეტილებას და ჩვენს ერებს შორის კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთი-ერთობებს ალტერნატივა არ ექნება. თქვე-ნი შუამავლობა ამ საკითხში ძალიან მნიშ-ვნელოვანი იქნება.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგ-რძელობასა და წარმატებას თქვენ მაღალ მსახურებაში. დიდი პატივისცემით სრულ-იად საქართველოს კათოლიკოს-პატრი-არქი ილია მეორე“...

საპატრიარქომ 8 ოქტომბერს დავით-გარეჯის შესახებ კიდევ ერთი წერილი გამოაქვეყნა, რომელიც 1 ოქტომბრით თარიღდება. ილია მეორე საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას მი-მართავს.

შალვა თადუმაძე:

რომ არა „ნაციონალური მოძრაობა“, გენერალური პროკურორი ვერ გავხდებოდი...

რომ არა „ნაციონალური მოძრაო-ბის“ ხელისუფლება, რომელმაც შე-საძლებლობა მომცა, უმძიმესი ზეწო-ლის ქვეშ მყოფი ადამიანების უფლე-ბები დამეცვა, მე ვერ გავხდებოდი გე-ნერალური პროკურორი, ამაში თქვე-ნი წვლილი უფროა, — ამის შესახებ პარ-ლამენტში მიმდინარე მოსმენისას უზე-ნაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა, გენერალურმა პროკუ-რორმა შალვა თადუმაძემ განაცხადა.

— მე მომეცა შესაძლებლობა, უკომპრომისოდ დამეცვა იმ ადამია-ნების უფლებები, რომლებსაც „ნაციო-ნალური მოძრაობის“ ხელისუფლე-ბა არღვევდა უხეშად და მათ შორის პირადად ჩემზეც ზემოქმედებას ახ-დენდნენ, თუმცაღა, მე ეს შევძელი...

სასამართლოთა უმეტესობა შშმ პირებისთვის ადაპტირებული არ არის!

ევროპის საბჭო კვლევას – „სასამართლო შენობების მისაწვდომობის შეფასება შშმ პირებისთვის“ წარადგენს. კვლევის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 65 სასამართლო შენობა შეამოწმეს. სასამართლოთა უმეტესობას მოდიფიცირება სჭირდება.

როგორც ირკვევა, სისტემის წინაშე შშმ პირებისთვის სასამართლოს შენობების მისაწვდომობისა და სერვისების კუთხით ბევრი გამოწვევაა და ის არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებსა და კრიტერიუმებს.

შეხვედრას საქართველოს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები ესწრებიან. მხარეები ასევე მსჯელობენ იმ საკითხებზეც, თუ კიდევ რა გამოწვევები არსებობს ამ კუთხით.

პრეზენტაცია კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გახსნეს.

საქართველოში ასეთი კვლევა პირველად ჩატარდა.

ეუთოს მედიაკონფერენცია თბილისში

თბილისში ეუთოს მედიაკონფერენცია იმართება. ღონისძიების მთავარი მიზანი რეგიონში მედიის თავისუფლების გაძლიერებაა.

ეუთოს მიერ ორგანიზებული სამხრეთ კავკასიის რიგით მე-16 მედიაკონფერენციაში მონაწილეობენ მედიის სფეროს, მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელები და საერთაშორისო ექსპერტები.

განსახილველ საკითხთა შორისაა რეგიონში მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული მოვლენები და ცვალებადი ციფრული მედიაგარემო.

კონფერენცია გახსნეს მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელმა ჰარლემ დეზირმა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამარ ჩუგოშვილმა.

გერმანიას არაფერში არგიხართ, სამშობლოს კი ძალიან სჭირდებით!

გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობით საქართველო მიმდინარე წელს მეათე ადგილზეა.

ქვეყნის მიგრაციის ფედერალური ბიუროს მონაცემებით, იანვარ-სექტემბერში გერმანიას თავშესაფრის მოთხოვნით საქართველოს 2953-მა მოქალაქემ მიმართა. შარშან, ანალოგიურ პერიოდში, განაცხადების რაოდენობა 3257 იყო. შესაბამისად, წელს მაჩვენებელი 10 პროცენტითაა შემცირებული.

ამასთან, უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემებით, განაცხადების უდიდეს ნაწილზე მიგრაციის ბიურომ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო.

გერმანიაში თავშესაფარი წელს მთლიანობაში 127 917-მა მოქალაქემ მოითხოვა, მათგან 31 436 სირიიდან იყო. ათეულში ასევე შედიან ერაყი, თურქეთი, ნიგერია, ავღანეთი, ირანი, სომალი და ერიტრეა.

პირველი ნოემბრიდან ბუნებრივი გაზის მომხმარებლებისთვის რეგულაციები მკაცრდება

ახალი რეგულაციის თანახმად, თუ ობიექტზე (მათ შორის საცხოვრებელ ადგილას) არსებული გაზდანადგარის ექსპლუატაცია დაუშვებელია და მომხმარებელი უარს აცხადებს გაზდანადგარის დაუყოვნებლივ დემონტაჟზე ან/და აშკარაა ამ ხელსაწყოთი თვითნებური სარგებლობა, ასეთ შემთხვევაში გაზგამანაწილებელი კომპანიის თანამშრომელი ვალდებული იქნება, პოლიციას აცნობოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი გარემოების შესახებ.

როგორც საქართველოს პირველ არხს ეკონომიკის სამინისტროში განუმარტეს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი ასევე ითვალისწინებს ფულად ჯარიმებს, თუმცა ჯარიმების ნაწილის ამოქმედება 2021 წლიდან არის ნავარაუდევი.

რეგულაციების მიხედვით, თუ ადგილი ექნება საცხოვრებელ ადგილას ბუნებრივი გაზის ისეთი დანადგარით სარგებლობას, რომლის განთავსება ამ ადგილას დაუშვებელია, ასევე თვითნაკეთი ან შესაბამისობის სერტიფიკატის/დეკლარაციის არმქონე ბუნებრივი გაზის დანადგარით სარგებლობისას, ბუნებრივი გაზის მოხმარება ისეთი მილგაყვნილობის მეშვეობით, რომელიც არ არის განკუთვნილი ბუნებრივი გაზის გატარებისათვის, ბუნებრივი გაზის დანადგარის გამონაბოლქვისთვის ისეთი არხის გამოყენება, რომელიც არ არის საამისოდ განკუთვნილი ან ბუნებრივი გაზის დანადგარის ექსპლუატაციაში სავალდებულო სავენტილაციო/საკვამლე არხის გარეშე, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და საჯარო დაწესებულების დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დარღვევების განმეორებით ჩადენა, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნების გამო გამორთული მომხმარებლის გაზმომარაგების თვითნებური აღდგენა ან ბუნებრივი გაზის შიდა ქსელზე ისეთი ხელსაწყოს გაზმომარაგების თვითნებური აღდგენა, რომელიც გაუმართაობის გამო იყო ჩახსნილი/გამორთული – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და საჯარო დაწესებულების დაჯარიმებას – 1500 ლარის ოდენობით.

პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ბუნებრივი გაზის სექტორში მწვავედ დგას გაზდანადგარებისა და ქსელის განთავსების, ასევე მათი ექსპლუატაციის პრობლემა. გაზდანადგარების არასწორი განთავსებისა და ექსპლუატაციის, თვითნაკეთი, კუსტარული დანადგარებით სარგებლობის, სავენტილაციო არხების არასწორი გამოყენებისა და უსაფრთხოების წესების სხვა დარღვევების გამო ნახშირბადის მონოქსიდით (CO) მომხმარებელთა მოწამვლის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ასევე, ადგილი ჰქონდა ბუნებრივი გაზის გაჟონვის, დაგროვებისა და აფეთქების ფაქტებს. შესაბამისად, კანონპროექტის მიზანია ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა მიერ გაუმართავი შიდა ქსელის ექსპლუატაციით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან აცილება.

თბილისში „ისუზუს“ მარკის 60 ახალი ავტობუსი იმოძრავებს!

თბილისში ISUZU-ს მარკის 8-მეტრიანი, დიზელის ძრავზე მომუშავე, euro 6 ემისიის სტანდარტის ავტობუსები შემოვიდა. დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ავტობუსები ევროპის მოედანზე წარადგინა.

„შევიძინეთ 220 ერთეული ISUZU-ს მარკის ავტობუსი. 60 ერთეული უკვე თბილისშია და ისინი, ხვალიდან დედაქალაქის მოსახლეობას მოემსახურებიან. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს სტუმრებს თურქეთიდან: „ანადოლუ ჯგუფის“ კორპორაციის პრეზიდენტს და გენერალურ დირექტორს, ასევე „ISUZU“ ჰოლდინგის დირექტორს. დედაქალაქის მერმა სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

მერია ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპს გეგმავს

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, ტაქსების რეფორმის პირველი და მეორე ეტაპი წარმატებით შედგა და იგეგმება მესამე ეტაპიც. ამის შესახებ კახა კალაძემ გუშინ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

„არ შემიძლია, დღეს არ ვისაუბრო ტაქსებზე და მოსახლეობას არ მივაწოდო ის შესანიშნავი შედეგები, რომელიც ჩვენ ბოლო კვირის განმავლობაში მივიღეთ. ეს არის რეფორმა, რომელიც ქალაქის ისტორიაში შევა და აუცილებლად თავის როლს შეასრულებს ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაში. როგორც იცით, არსებობს ტაქსის ორი კატეგორია – A და B. დღეის მდგომარეობით, A კატეგორიაში, დაახლოებით, 7700 ლიცენზიაა გაცემული, ხოლო B-ში – 8800. ეს არის რეფორმის მხოლოდ ორი ეტაპი, რომელთაგან მეორე მხოლოდ ახლა დავიწყეთ. ამ რეფორმას აუცილებლად ექნება მესამე ეტაპი, რომელიც მორგებული იქნება უკეთეს ხარისხზე და ტაქსების ბაზარზე სტაბილურ, ეკონომიკურ პირობებზე. კახა კალაძემ ტაქსების რეფორმის წარმატებით განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს და მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომელს.

ამასთან, დედაქალაქის მერმა ტაქსების რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რეფორმა ხელს შეუწყობს ქალაქში ტრანსპორტის მოწესრიგებას.

მიერთებულია თუ არა თბილისის ზღვაზე საკანალიზაციო ქსელები?

თბილისის მერმა კახა კალაძემ ქალაქის მუნიციპალურ ინსპექციას დაავალა, გაარკვიოს, მართლაც არის თუ არა თბილისის ზღვაზე საკანალიზაციო ქსელები მიერთებული და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, კანონის შესაბამისად იმოქმედონ.

კახა კალაძემ ამის შესახებ თბილისის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

„მინდა, ერთ სენსიტიურ თემაზე გავამახვილო ყურადღება. ეს საკითხი ეხება თბილისის ზღვაში სავარაუდოდ დაერთებულ საკანალიზაციო ქსელებს. მინდა, მუნიციპალურ ინსპექციას დავავალო, თუ თქვენ ვიზუალურად არ გაქვთ საშუალება და ვერ ახერხებთ, ნახოთ ეს ადგილები, შეიყვანეთ მძიმე ტექნიკა, რათა მოიძებნოს ეს ადგილები და მიერთებები. თუ აღმოაჩენთ ასეთ შემთხვევებს, იმოქმედეთ კანონის შესაბამისად“, – აღნიშნა მერმა.

ამასთან, როგორც ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ სხდომაზე განაცხადა, სასმელი წყალი, რომელიც თბილისის მოსახლეობას მიეწოდება, მუდმივად კონტროლდება, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ სინჯებს მუდმივად იღებს და ლაბორატორიულად მოწმდება, ის სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს. ამასთან, მისი თქმით, გამოვლინდა ერთი ფაქტი, სადაც თბილისის ზღვაზე ადგილი ჰქონდა კომუნიკაციების უკანონო მიერთებას და ამას მკაცრი რეაგირება მოჰყვება.

სამუზეუმო ექსპონატები დაკარგვას გადაურჩება... ისინი პრეზიდენტის რეზიდენციაში განთავსდება

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ათონელის რეზიდენციის მოწყობა ფრანგული ანტიკვარიატით მოითხოვა. აღნიშნულ ინფორმაციას „მთავარი არხი“ ავრცელებს.

ტელეკომპანიის ექსკლუზიური ინფორმაციით, საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანტიკვარიატით მოწყობაზე მილიონ 400 000 ლარი დაიხარჯა და ფული საიდუმლო შესყიდვის გრიფით საიდუმლო ბიუჯეტიდან გამოიყო.

მათივე ცნობით, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც თბილისში იმ ოჯახებს ეძებს, სადაც გასული საუკუნის ძვირადღირებული ნივთები შეიძლება მოიძიონ.

„მთავარს“ აღნიშნული ინფორმაცია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა ანზორ ჩუბინიძემ დაუდასტურა.

ჩუბინიძის განცხადებით, მისი უწყების რამდენიმე განყოფილება დიდი ხანია ბაზარზე სალომე ზურაბიშვილისთვის ანტიკვარიატის შეძენით არის დაკავებული.

„დიდი ნაწილი ეს იყო მოსახლეობიდან შეძენილ ნივთებზე. ეს უნდა აღდგენილიყო, ანტიკვარული ავეჯი უნდა განლაგებულიყო ორბელიანის სასახლედ წოდებულ ნაწილში. თანხა გაიხარჯა სახელმწიფო ბიუჯეტიდან... ექსპერტებმა შეაფასეს რეალურად ეს ავეჯი და შემდეგ კიდევ ერთი ეტაპი იყო, შევაჭრების ეტაპი ასე ვთქვათ და ამის შემდეგ დადგინდა საბოლოო ფასები და გადავუხადეთ მოსახლეობას, კომპანიებთან კი, არსებული წესებით მოხდა შესყიდვა. კონკრეტულად ვერ გეტყვით, ვისი სურვილი იყო, რომ ანტიკვარული ავეჯი განთავსებულიყო რეზიდენციაში, თუმცა, ჩვენთან დავალება მოვიდა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან“, — უთხრა „მთავარს“ ანზორ ჩუბინიძემ.

პრეზიდენტის სასახლის ერთი ნაწილისთვის სახელმწიფო უზრუნველობის სააგენტო თანამედროვე ავეჯსაც ყიდულობს. „მთავარის“ ინფორმაციით, კომპანია, რომელთანაც საიდუმლო შესყიდვების ხელშეკრულება გაფორმდა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის დიმიტრი გაბუნიას მეგობარს ეკუთვნის.

ჩუბინიძე ამ ფაქტს ვერც უარყოფს და ვერც ადასტურებს.

„თანხა სოლიდურია, მაგრამ ის იმსახურებს ამ თანხას. ვფიქრობ, რომ სამუზეუმო ექსპონატები გადაურჩა დაკარგვას და საქართველომ ამით არაფერი დაკარგა“, — განაცხადა ანზორ ჩუბინიძემ.

პრეზიდენტის აღმინისტრაციის თავაზიანი განმარტება

საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების საკითხებში კონსტანტინე ნაცვლიშვილის განცხადებით, ორბელიანის სასახლის ისტორიული ნაწილის ავეჯით მოწყობისთვის 1 200 000 ლარი იყო გამოყოფილი.

როგორც კონსტანტინე ნაცვლიშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ორბელიანის სასახლისთვის ანტიკვარული ავეჯი კანონმდებლობის სრული დაცვითაა შესყიდული და შესყიდვა მხოლოდ საქართველოში განხორციელდა.

„ორბელიანის სასახლის ისტორიული ნაწილისთვის რამოდენიმე თვის წინ დასრულდა ავეჯის შესყიდვის პროცესი. პროცესის დაწყებამდე, 18 ივნისს ჩვენ საზოგადოებას ბრიფინგზე ვაცნობეთ ამის შესახებ. ის ფაქტი, რომ სასახლე ცარიელი იყო და ინვენტარი იყო შესაძენი, ვფიქრობ, არანაირ დისკუსიას არ საჭიროებს.

ავეჯი შეძენილია სასახლის წარმომადგენლობითი ნაწილისთვის, რომელიც არ გახლავთ პრეზიდენტის პირადი სამუშაო სივრცე. ამიტომ, ეს ინვენტარი პირველ რიგში ემსახურება საერთაშორისო ვიზიტებზე მოსულ პუბლიკას და ზოგადად საზოგადოებას.

ჩვენი მიზანია ორბელიანების სასახლის აღჭურვა ისეთი ინვენტარით, რომელიც ისტორიულად იყო დამახასიათებელი მსგავსი ტიპის ნაგებობებისთვის საქართველოში და გვსურდა, რომ ამ პროცესით რაღაცნაირად ეპოქა წარმოგვეჩინა“...

მისივე თქმით, ავეჯი შეძენილია მთლიანად საქართველოში, უცხოეთში არანაირი შესყიდვა არ განხორციელებულა, მათ შორის არც საფრანგეთიდან.

„საფრანგეთიდან გვაქვს ორი ნივთი, ესაა, საწერი მაგიდა ლუი მეთხუთმეტის სტილში და ანტიკვარული კარადა, რომელიც ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მამის საკუთრება გახლავთ. ბატონი ლევან ზურაბიშვილი პარიზში ქართული სათვისტომოს ხელმძღვანელი იყო და პრეზიდენტის მიერ ამ ნივთების საქართველოსთვის გადაცემას ერთგვარად სიმბოლური დატვირთვა აქვს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო ასეთი მასშტაბის შესყიდვას ახორციელებს იმისთვის, რომ მომავალ თაობებს კულტურული მემკვიდრეობა შეუნარჩუნოს“, — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

მისივე თქმით, მეორადი ანტიკვარული ავეჯი საქართველოში ბევრად უფრო იაფი ჯდება ვიდრე ქარხნული ნაწარმის შეძენა უცხოეთში, ამიტომ დიდი ეკონომიაა გაწეული, დაახლოებით 81 000 ლარამდე. როგორც ნაცვლიშვილმა აღნიშნა, შესყიდვაზე სახელმწიფო უზრუნველყოფის ეროვნულმა სააგენტომ იმუშავა სპეციალისტების ჯგუფთან ერთად.

„ნადი გრუპი“ ლოკოკინის ლორწოს გადამუშავებას გეგმავს

სამეგრელოში წარმოებული ლოკოკინები იტალიაში ექსპორტზე გავიდა. საუბარია სამეგრელოში კომპანია „ნადი გრუპის“ მიერ წარმოებულ 5 ტონა ლოკოკინაზე. ამის შესახებ „კომერსანტს“ კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მერაბ ნადარაიამ განუცხადა. მისი ინფორმაციით, წლის ბოლოს დაგეგმილია მეორე პარტიის გატანა, საუბარია 15 ტონაზე.

როგორც ნადარაია აცხადებს, ქართული წარმოების ლოკოკინა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანია, რადგან ჩვენი პროდუქცია ხარისხითაც და ფასითაც მიმზიდველია. ამის მიზეზია ევროპისგან განსხვავებით იაფი მუშახელი და საქართველოში არსებული საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების დაბალი განაკვეთი.



„დღეს ევროპის ბაზარზე, მაგალითად, 1 კილო ლოკოკინის ფასი 5 ევროა, სამეგრელოში წარმოებული კი 3 ევრო ღირს,“ — აღნიშნავს ნადარაია.

6 ჰექტარზე გაშენებულ ფერმაში წელიწადში საშუალოდ 50 ტონა ლოკოკინის წარმოებაა დაგეგმილი. პროდუქციის რეალიზაცია კი 100%-ით საექსპორტო ბაზრებზე, კერძოდ, იტალიაში მოხდება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები საფრანგეთთან და პოლონეთთანაც.

„გვყავს იტალიელი პარტნიორი, რომელიც ჩვენგან შეისყიდის ლოკოკინის ხორცს და მოამარაგებს როგორც რესტორნებს, ისე სუპერმარკეტებს, ეს პარტნიორი უშვებს მედიკამენტებს და პარფიუმერულ მალამოებსაც,“ — აღნიშნავს ნადარაია.

ნადარაია „კომერსანტთან“ საამომავლო გეგმებზეც საუბრობს და აცხადებს, რომ კომპანია ინვესტიციების დაფარვის პარალელურად, გაფართოებასაც გეგმავს. კომპანიამ ამ დროისთვის უკვე განახორციელა ნახევარი მილიონი ევროს ინვესტიცია, მომავალი წლისთვის კი, 70 000 ევროს ინვესტირებას გეგმავს.

მისი განმარტებით, დაგეგმილია ფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების მწარმოებელი კომპანიებისთვის საჭირო ნედლეულის წარმოებაც. საუბარია ლოკოკინის ლორწოზე, რომელსაც სამედიცინო დანიშნულება აქვს.

„ჩვენ ლოკოკინის ხორცის გარდა, მისი ლორწოს წარმოებასაც ვაპირებთ, რაც გამოიყენება კანის მოვლის საშუალებებსა და მედიცინაში. შემოსავლებით ის ხორცის შემოსავალს უტოლდება. ეს მიმართულება შესწავლილია და დაკვეთილია შესაბამისი აპარატებიც. საკმაოდ ძვირადღირებულია და უკვე მზადდება. ჩამოგვაქვს და მომავალი წლის გაზაფხულზე დავიწყებთ ლორწოს წარმოებასაც. იმდენად მოთხოვნადია ეს ბაზარზე, რომ მისი გასაღება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს“, — აღნიშნავს ნადარაია.

სოფო ძსოვრელი

რაჭაში რთველი იწყება

რთვლის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ამბროლაურში შეხვედრა გაიმართა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა მევენახეებსა და ღვინის მწარმოებლებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობისა და კოორდინირებული მუშაობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

წელს რაჭის რეგიონში ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძნის 1 500 ტონამდე მოსავალს ელოდებიან.



როგორც რთვლის საკოორდინაციო შტაბის უფროსმა ლევან მეხუზლამ განაცხადა, ამბროლაურში განთავსებულ შტაბში სრულად მობილიზებულია ადამიანური და ტექნიკური რესურსი, რათა ყურძნის მოსავლის დაბინავების პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს. სამინისტროს ინფორმაციით, რაჭაში მევენახეები ყურძნის კრეფას გამოდარებისთანავე დაიწყებენ. ამასთან, დასკვნით ეტაპზეა რთველი კახეთის რეგიონში. 9 ოქტომბრის მონაცემებით, გადამუშავებულია 263 ათას ტონამდე ყურძენი.

დაკარგული ტურისტები უსაფრთხო ადგილზე გამოიყვანეს

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება, რომ ონის მუნიციპალიტეტში, ტყის მასივში მყოფ ორ ტურისტს, სავარაუდოდ, გზა აებნა და მაშველების დახმარება სჭირდებოდა. უწყების ცნობით, მეხანძრე-მაშველებმა შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყეს საძიებო სამუშაოები.

„რთული რელიეფური და მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მაშველთა ჯგუფები ტყეში, 16 კილომეტრის მონაკვეთზე, რამდენიმე საათის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში ეძებდნენ დაკარგულ ტურისტებს. წარმატებული სამაშველო ოპერაციის შედეგად, მეხანძრე-მაშველებმა იპოვეს საქართველოსა და ავსტრიის დაკარგული მოქალაქეები და ისინი უსაფრთხო ადგილზე უვნებლად გადაიყვანეს.

ხელისუფლება, თუ ის თვითნებობს და ხალხზე ძალადობს, ბოროტების წყაროა, ამიტომ ის უნდა წავიდეს!

„ხანძარზე ვდრე თვითნებობა ბნდა ჩაქრობ“.
ჰერაკლიტე

წერილი პროფესიული პრაქტიკით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით გამოწვეული წარმოდგენებია იმ ფაქტებსა და მოვლენებზე, რომლებიც ჩვენს ყოველდღიურობაში განსხვავებულ, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებს და ინტერპრეტაციებს იწვევს. ბუნებრივია, ეს შეხედულებები და მოსაზრებები ვერ იქნება თავისუფალი სუბიექტური ხასიათის ელემენტებისგან, თუმცა მაქსიმალურად ვცდილობდი მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას.

ცხადია, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა ნატოში გაწევრიანებისა და ევროპულ სახლში დაბრუნების მორიგე სენტენციებით და გაცვეთილი დოგმებით ე.წ. დასავლურ ღირებულებებზე და ფასეულობებზე აპელირებით ვერ გამოსწორდება. არსებული კრიტიკული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა მოითხოვს მიმდინარე პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენას, ობიექტურ შეფასებას და შედეგების მიხედვით სწორი სოციალურ-ეკონომიკური კურსის გატარებას.

საქმე ის არის, რომ ამის გაკეთება ვერც წინა და ვერც მოქმედმა ხელისუფლებამ წლების მანძილზე ვერ შეძლო. როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ ძალუძს სახელმწიფოს ეფექტური მართვა და კრიზისიდან გამოყვანა. პირიქით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში პრობლემები სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს,დაპირისპირება კი თანდათან მძაფრდება და კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. საგულისხმოა, რომ მიუხედავად წარსულის და დღევანდელობის მწარე გამოცდილებისა, პოლიტიკურ არენაზე ძირითად მოთამაშედ კვლავ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ რჩებიან, თავიანთი სატელიტი პოლიტიკური ძალებით, საზღვარგარეთიდან მიზნობრივად დაფინანსებული, კარგად მოტივირებული არასამთავრობო ორგანიზაციებით და პროპაგანდისტული დანიშნულების საინფორმაციო საშუალებებით. მიმდინარე და წინა პერიოდში განვითარებული პროცესები ადასტურებენ, რომ ეს ორი პოლიტიკური გაერთიანება ერთმანეთისგან მხოლოდ ფორმალური ნიშნებით – სახელწოდებით, საარჩევნო სარეგისტრაციო ნომრით, გერბით, ბელადების, ფუნქციონერი მოთამაშეების სახელებით და გვარებით განსხვავდებიან. მსოფლმხედველური, ფასეულობითი შეხედულებების, ხელისუფლებისათვის ბრძოლის და შემდგომში შენარჩუნების ფორმებისა და მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით კი ორივე შესაშური ენერგიით იყენებს სიყალბეს, ტოტალურ სიცრუეს, მოსყიდვას, საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირებას... ამ პოლიტიკურ საქმიანობად წოდებულ ბინძურ თამაშში მთავარ როლს თავხედობის, უტიფრობის და უზნეობის ნიჭი და უნარი ასრულებს. ამ თამაშში ყველა დროის ქართული ნომენკლატურული ელიტა ხელმძღვანელობს პრინციპით: **„მიზანი ამართლებს საშუალებას“**.

სახელმწიფოს მართვისა და სახელმწიფოებრივი საქმეების კეთებისთვის საჭირო ნიჭისა და უნარის, ცოდნისა და გამოცდილების არქონის გამო, მათი მმართველობითი საქმიანობა ხასიათდება საზოგადოებისგან დისტანცირებით, საკანონმდებლო სისტემის საკუთარ ინტერესებზე მორგებით, თვითნებობით, ძალადობითა და პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბრალებით. როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ: **„ძალაუფლება მისი ბოროტად გამოყენების გარეშე, მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს“**. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ სამართლებრივი და სასამართლო რეფორმა ხელისუფლებამ წარმართა არა კანონიერების უზენაესობისა და სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრების, არამედ ნომენკლატურული მიზანშეწონილობის და ხელისუფლების შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით, რაც, ბუნებრივია, იწვევს კოლიზიას კანონიერებასა და სამართლიანობას შორის. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს გარემოება, ანუ უსამართლობის განცდა არის საზოგადოების უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი.

ხელისუფლების რიტორიკა დემოკრატიაზე, თანასწორობაზე, სამართლიანობაზე, დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებზე არის აბსრაქტული, ფაქტობრივად, ყოველგვარ აზრს მოკლებული, პათეტიკური მსჯელობა და სხვა არაფერი. საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ეს მეთოდები თანდათანობით კარგავს ძალასა და ენერგიას. ხალხს უკვე ნაკლებად სჯერა ქვეყნის პოლიტიკურ ავანსცენაზე მოასპარეზე სუბიექტების ბუტაფორიული ტრაქტატებისა და პოსტულატებისა. „ხალხის ბედნიერებისთვის მებრძოლის“ მოდური მანტია საზოგადოებაში ხიბლს, მიმზიდველობას კარგავს. აშკარად იგრძნობა, რომ სხვა ტიპის, ანუ პრაქტიკული საქმეების გამკეთებელი პოლიტიკური ძალების დრო დგება.

საქმე ის არის, რომ დიალექტიკის მარადიული კანონის თანახმად, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. დღევანდელი პოლიტიკური კლიმატის შემოქმედი ძალები განსაკუთრებით „ნაცები“ და „მეოცნებეები“ მოდიან ერთი და იგივე საწყისიდან, რომელიც ჩაბუდებული იყო და გაღვივდა საბჭოური სივრცის წიაღში და მის ნანგრევებზე აღმოცენდა. ეს არის ისტორიული განვითარების ის პერიოდი, როდესაც ნიკოლო მაკიაველის სიტყვებით თუ ვიტყვით: **„მანიაკი უპასუხისმგებლო და უსახო პიროვნება, რომელიც თავისუფალია ზნეობრივი, ეთიკური თვისებებისა და მორალისგან, ადვილად იკავებს ლიდერის როლს“**. ორივე ამ პოლიტიკური ძალის ხასიათის, შეხედულებების და თვისებების, გენეტიკური კოდის ჩამოყალიბება ერთი და იგივე სოციალური ფაქტორების – ქაოსის, განუკითხაობის, თვითნებობისა და აღვირახსნილობის სტიქიის ზემოქმედების შედეგად მოხდა. ისტორიული განვითარების ამ ეტაპზე საზოგადოების განწყობა მიმართეული იყო სახელმწიფო ინსტიტუტების, არსებული შეხედულებებისა და წარმოდგენების წაშლისა და განადგურებისკენ, რაც ობიექტურად ქმნიდა ძალადობის, ქაოსისა და განუკითხაობის წინაპირობებს. სწორედ ასეთ ვითარებაში გრაფი სეგედის სიტყვებით თუ ვიტყვით, ასპარეზზე **„გამოდიან ძალები, რომლებიც მანიაკური თვისებების გამო თავხედური გამბედაობით მიიწევენ წინ და იპყრობენ საზოგადოების მართვის სადავეებს, მაგრამ სათანადო ჭკუის, განზოგადების და შემოქმედების უნარის არქონის გამო ვერ ინარჩუნებენ მას“**.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითარებული მოვლენების გამომწვევ მიზეზთა სრულად და ობექტურად გაგებისათვის მოვიშველიებთ კიდევ ერთი ავტორიტეტის, ფრანგი ფილოსოფოსის და ფსიქოლოგის გუსტავ ლებონის აზრს იმის შესახებ, რომ **„ხასიათი და არა გონი თამაშობს მთავარ როლს ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში“**.

ამდენად საქართველოში ბოლო ათეული წლების განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები მხოლოდ ორ ფერში – შავსა და თეთრში, ცუდსა და კარგში, სხვა ემოციურ წარმოდგენებში სრულად ვერ აისახება. სინამდვილეში ეს ურთულესი სოციალური მოვლენა განპირობებულია საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებით და, შესაბამისად, სერიოზულ სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს, რაც, ბუნებრივია, სცილდება ამ პუბლიკაციის მიზნებს. აქ მხოლოდ მიმდინარე პროცესების ზედაპირზე არსებული მოვლენებისა და ასპექტების განხილვის მცდელობაა მოცემული.

ამ პოლიტიკურ საქმიანობად წოდებულ ბინძურ თამაშში მთავარ როლს თავხედობის, უტიფრობის და უზნეობის ნიჭი და უნარი ასრულებს. ამ თამაშში ყველა დროის ქართული ნომენკლატურული ელიტა ხელმძღვანელობს პრინციპით: „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე პუბლიკაციაში მოცემულ შეხედულებებს სულაც არ აქვს პრეტენზია უტყუარ , ნამდვილ ჭეშმარიტებაზე, პირიქით, მას უფრო პოლემიკური ხასიათი აქვს, ამიტომაც მოხარული ვიქნებით, ამავე საკითხებზე ვიხილოთ განსხვავებული შეფასებები. პუბლიკაციის ერთერთი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედ სუბიექტებს მიეწოდოს სწორი ინფორმაცია საზოგადოებაში არსებულ განწყობასა და შეხედულებებზე.

ვისურვებდი, არ ვიყო მართალი იმაში, რომ საზოგადოების აზრით ხელისუფლება ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას – სახელმწიფოებრივად, კომპეტენტურად მართოს სახელმწიფო; რომ რეფორმები არ განხორციელდა მიზანმიმართულად, ამიტომაც სათანადოდ არ არის დაცული მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, საკუთრების უფლება, უფლება სამართლიან სასამართლოზე და სხვა ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.

ცხადია, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პროცესებში ოპოზიციას, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საინფორმაციო საშუალებებს (მასმედიას) არანაკლები წვლილი მიუძღვით. ეს ობიექტური სინამდვილეა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, იმ გარემოებითაც არის გაპირობებული, რომ პოზიცია, ოპოზიცია და მათი მოსამსახურე არასამთავრობო ორგანიზაციები, ისევე როგორც საინფორმაციო საშუალებები, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი სტაბილურობითა და საზოგადოებრივი სიმშვიდით. საქმე ის არის, რომ ჭეშმარიტად აღმშენებლობითი, შემოქმედებითი მდგომარეობის პირობებში, ისინი დომინანტურ მდგომარეობას ვერ შეინარჩუნებენ მაღალი ზნეობრივი თვისებების ნაკლებობის გამო. გენეტიკური მეხსიერება და მემკვიდრეობით მიღებული აგრესიული თვისებები აღმშენებლობასა და შემოქმედებით პროცესთან შეუთავსებელია.

მაგალითისთვის: ძნელად წარმოსადგენია, რას გააკეთებს ჭორეების ტირაჟირებაში დაოსტატებული ჟურნალისტი სტაბილურ ქვეყანაში ან პოლიტიკოსი, რომელსაც მხოლოდ დასავლური ორიენტაციით, აფხაზეთისა და ოსეთის ოკუპაციის თემით შეუძლია სპეკულირება და პოლიტიკური პროცესების მართვის ხელოვნებაში ნამდვილად არაფერი ესმის. მახსენდება ქართველი ექსპერტები, რომლებიც ორი წლის მანძილზე მთელი სერიოზულობით კამათობდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს სწორად გაეროს გენერალური მდივნის გვარი და სახელი – ბუტროს ღალი თუ ბუტროს გალი. მაშინ ეს საკმაოდ პოპულარულ თემად გახადეს და ეს პატივცემული ექსპერტები სერიოზულ პოზასაც იჭერდნენ.

ხელისუფლების მიმართ გამოთქმული პრეტენზიების არგუმენტად მოვიხმობთ კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის დროს პირადად მაქვს გამოცდილი. ტენდენციურობაში რომ არ ჩამეთვალოს, მოვახდენ ზოგიერთი ე.წ. მამხილებელი ფაქტების კონსტანტაციას და შესაბამის უწყებებს ვთხოვ, თუ არ ეთანხმებიან ავტორის პოზიციას, გამომეხმაურონ, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ობიექტური შეფასების საშუალება...



ვ. ჯემალ შელია,
ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ადვოკატი.

(დასასრული მორიგ ნომერში)

წინ – წინაპრებისკენ!

სამეგრელო რომ ზოგადქართული სივრცის ნაწილია და მთელ საქართველოში მომხდარი ამბების უშუალო მონაწილეც, ამ ჭეშმარიტებას, საბედნიეროდ, მტკიცება არ სჭირდება. XIX საუკუნეში, როცა დამპყრობელმა „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა გამოიყენა და ასე სცადა, მეგრელების არაქართველობა ემტკიცებინა, ჩვენმა მამულიშვილებმა თვალი XII საუკუნის საქართველოს, ძლიერ, ერთიან, მდიდარ, თავისუფალ ქვეყანას მიაპყრეს. ის ამხნევებდათ, ის აძლიერებდათ და საბრძოლველადაც ის მაშინდელი ჩვენი ერთიანობა განაწყობდათ. თუ რომელიმე კუთხისთვის ერთი ადამიანის სახელის მისადაგება გახდება საჭირო, სამეგრელო, უყოყმანოდ, უპირველესად ცოტნე დადიანის სახელს მოიხდენს.

სამეგრელოში არ ეძებოთ მტერი – აზონი, უპირველესად სამეგრელო ეს არის ცოტნე.
ელგუჯა მარღია

12 აგვისტო ჩვენს ისტორიაში ბევრი რამით გამორჩეული დღე აღმოჩნდა – დიდგორის გამარჯვებას რამდენიმე საუკუნის მერე ცოტნეს გმირობა შეემატა სანიშანსვეტო მოვლენად. 12 აგვისტოს საქართველო დიდგორობასაც ზეიმობს და ცოტნეობასაც და ეს სიმბოლურია. წელს, ამ დღეს, ხობში, ცოტნე დადიანის მშობლიურ ქალაქში, ბეჟან ნადარაიას თაოსნობით, სამეცნიერო კონფერენციაც გაიმართა. მანამდე ხობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა წმინდა ცოტნე აღმსარებლის მოსახსენიებლად სადღესასწაულო წირვა-ლოცვა აღავლინა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტ თეოდორესთან, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოს მელქისედეკთან, ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოს დოსითეოსთან, ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოს საბასთან და ხობის ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად.

გადმოცემით, აქ, ხობის ტაძარშია ჩვენი ეროვნული გმირის ძვალშესალაგი. აქვეა მისი ფრესკაც. წირვის შემდეგ კულტურისა და რწმენის განვითარების ცენტრში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მიზანი დიდი მამულიშვილის კიდევ ერთხელ გახსენება, მისი ღვაწლისთვის კიდევ ერთხელ პატივის მიგება გახლდათ. მსგავსი შეხვედრებისთვის საგანგებოდ აშენებულ მოზრდილ დარბაზში ხობის ვაჟთა ანსამბლ „კოლხეთის“ ომახიანი ხმები შეგვიძღვა. ანსამბლის წევრებმა ძველთაძველი ხალხური ჰანგებითა თუ ახალი სიმღერებით იმ დღეს კიდევ არაერთხელ დაიპყრეს მსმენელთა გულები და საღამოც მათვე გაასრულეს არაჩვეულებრივად შესრულებული „მალანურით“. შეხვედრა გახსნა, საზოგადოებას სტუმრები წარუდგინა და იმ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრა **ბეჟან ნადარაიამ**. განსაკუთრებული ინტერესი მსმენელისა, რა გასაკვირია, როსტომ ჩხეიძისკენ იყო მიქცეული და მანაც, როგორც ყოველთვის, საქმიანი და ემოციური გამოსვლით დაამახსოვრა თავი დამსწრეთ. გთავაზობთ მისი სიტყვის მოკლე ჩანაწერს.

როსტომ ჩხეიძე:

ქართლში იციან ხოლმე თქმა, როცა გამორჩეული დღეა, ეს არის შეგნებული დღეო. დღე ყველა სასწაულია თავისებურად, მაგრამ ხანდახან ერთმანეთს ისე მიეწყობა ჩვეულებრივი, სადაგი დღეები, რომ იქ უნდა ამოვარდეს ერთი და განსაკუთრებულად გაანათოს ჩვენი რეალობა, და დღევანდელი დღე სწორედ ასეთი დღეა - რელიგიურიც და სამოქალაქოც. სახელმწიფო არ ითვლება სახელმწიფოდ, თუ მას არა აქვს სრულფასოვანების შეგნება, თუ მას არა აქვს სურვილი, რომ დადგეს ერად სხვა ერთა შორის. არ შეიძლება, სახელმწიფო იყოს ვინმეს კუდიმდევარი. ხოლო ასეთი, სხვა ქვეყნების ტოლ-სწორი სახელმწიფო აუცილებელია, ზნეობრივ საფუძვლებს ემყარებოდეს. ვერც პოლიტიკა ან თუნდ ეკონომიკა ვერ აქცევს მას ასეთად. მარტო ცოტნე დადიანი რომ ვახსენოთ, მისი ბიოგრაფია, უფრო სწორად, ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, ჩვენ უკვე ვიცით, ვისი შთამომავლები ვართ, ვის გზას ვაგრძელებთ.

თავის დროზე, როცა ცოტნეს ამბავი მოყვა ჟამთააღმწერელმა, მან თქვა, რომ სწორედ ცოტნე და ცოტნესნაირები განსაზღვრავდნენ საქართველოს ბედისწერას. ჟამთააღმწერელი იყო ძალიან სკეპტიკოსი ადამიანი, ხელჩაქნეული, ტკივილებით შეძრული. მიაჩნდა, რომ ღმერთმა ჩვენი ცოდვებისთვის დაგვსაჯა, მაგრამ რადგან არსებობს ცოტნე დადიანი, ყველაფერი შემოტრიალდება სასიკეთოდო.

დღესაც ცოტნეს შარავანდში ვტრიალებთ. მან თავი გადადო არა მარტო მოყვასისთვის, მან თავი გადადო ქვეყნისთვის, ღირსებისთვის, კაცობისთვის. მართალია, ცოტნეს ბიოგრაფია არ ვიცით, მაგრამ შეიძლება იგი შეივსოს, გაცილებით სხვაგვარად წარმოდგეს, გაცილებით უფრო ფართოდ, გაცილებით უფრო ვრცლად, თუ ჩვენ გულდასმით წავიკითხავთ პავლე ინგოროყვას ნაწერებს.

პავლე ინგოროყვა არის ერთი გამორჩეული სახელი ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში. იგი ხელფეხშეკრული იყო საბჭოთა ეპოქაში, თუმცა ამ ურთულეს ხანაშიც შეძლო, ეკეთებინა უმნიშვნელოვანესი საქმეები. შოთა რუსთაველის ის იუბილე, რომელიც ვიზეიმეთ 1966 წელს, სწორედ პავლე ინგოროყვას იდეით, მისი დადგენილი თარიღით აღნიშნეს. მწერალთა კავშირმა ხელისუფლების დახმარებით მოახერხა ის, რომ პავლე ინგოროყვა მთლიანად ჩამოაშორეს იუბილეს. ეს ის კაცია, რომელმაც შუასაუკუნეების სანოტო ნიშნები აღადგინა, რაც მსოფლიო მნიშვნელობის საქმეა და კიდეც მოჰყვა მაშინ შესაფერისი გამოხმაურება მსოფლიო მასშტაბისა, მაგრამ მერე ისევ ჩაიფერფლა და ჩვენ ვართ ვალდებულები, ხელახლა გავიხსენოთ და მსოფლიოსაც ხელახლა წარვუდგინოთ. პავლე ინგოროყვა ერთადერთი კაცია საქართველოს ისტორიაში, რომელმაც შექმნა ქართული ცივილიზაციის ისტორია. საქართველოს ისტორია, მისი სიმაღლე, სიდიდე მსოფლიო ისტორიის ფონზე აქვს წარმოდგენილი. მისი „გიორგი მერჩულე“ რომ სათანადოდ დაფასებულიყო თავის დროზე, ჩვენ აფხაზეთის მხარეს არ დავკარგავდით.

ცოტნე - რუსთველური გმირი

რუსთაველის ბიოგრაფიის მისეულმა კვლევამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, ზოგიერთები არ უჯერებდნენ პავლე ინგოროყვას, ამბობდნენ, ეს ყველაფერი არის მისი ფანტაზიის ნაყოფი. თუმცა ამდენი რუსთველოლოგიური ნაშრომი არც ერთ სხვა მეცნიერს არა აქვს. ხელახლა გამოიცა ოთხ ტომად. აქ წაიკითხავთ, რა იყო საქართველო თავისი დიდების მწვერვალზე და რა უნდა იყოს, როცა კვლავ შედგება თავისი დიდების მწვერვალზე.

როცა მან თქვა, რომ შოთა რუსთაველი არის ბაგრატიონი, სამეფოს გვერდითა შტოს წარმომადგენელი, ამით ისე აღფრთოვანდა ნიკო მარი, გული დაწყდა, ამისთვის მე უნდა მიმეგნოო. პავლე ინგოროყვა ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი იყო კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე. იგი იყო არა მარტო დიდებული პოეტი, არამედ დიდი ეროვნული, საზოგადო მოღვაწეც. და იმ დროს, როცა მეფე აღარა ჰყავს საქართველოს, წინამძღოლი ერისა ხდება შოთა რუსთაველი.

რა კავშირი აქვთ შოთა რუსთაველსა და ცოტნე დადიანს? აღმოჩნდა, რომ ცოტნეს ცოლად ჰყავდა რუსთაველის ძმის, ტბელის ასული, პოეტი ქალი ბორენა, რომლის ერთი იამბიკოც ჩვენამდე მოღწეულია. ხობის მონასტერში აღმოჩნდა ჭერეთის საგვარეულო ხატი. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოთქვა დასაბუთებული მოსაზრება, რომ ეს ხატი მეცამეტე საუკუნისა იყო (და არა XI საუკუნისა, როგორც მანამდე მიაჩნდათ), და ამ დასკვნამ პავლე ინგოროყვას მისცა საშუალება, დაედგინა კავშირი ხობსა და რუსთავს შორის. უდავო გახდა, რომ ეს ხატი მზითევში ერგო ბორენას.

პავლე ინგოროყვა იყო საუკეთესო სტილისტი. ასეთი რამ მეცნიერებაში არის იშვიათი. მწერალივით წერდა, ძალიან ექსპრესიულად და ის სურათი აქვს განსაკუთრებული ძალით აღწერილი, ანისში რომ ჩადის ცოტნე და მიეახლება თავის ძმებს და მათ შორის ცოლის ბიძას, შოთა რუსთაველს. უამრავი მასალა, არგუმენტი ამყარებს ამ მოსაზრებას, მაგრამ მოწინააღმდეგეები მაინც ჰყავს (თუმცა სხვა, საწინააღმდეგოს ვერ ამტკიცებენ, უბრალოდ, არ გვჯერაო, ამბობენ) და თავის დროზე, როცა ეს დიდი, უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა გამოქვეყნდა, კოლაუ ნადირაძემ თქვა, რომც არ დამტკიცდეს ამ ამბის ნამდვილობა, თავისთავად ცალკე პოემაა ერთ ოჯახად გამოცხადება რუსთველისა და ცოტნესიო. როგორც აკაკის „ნათელაა“ შესანიშნავი პოემა.

გადაწყვეტილი გვაქვს და აღვასრულებთ, რომ ეს ორი გამორჩეული ქმნილება – პავლე ინგოროყვას გამოკვლევა და აკაკი წერეთლის პოემა გვერდიგვერდ დავბეჭდოთ და ასე გამოვცეთ.

გრიგოლ აბაშიძე იცნობდა ამ ნარკვევს და მისი დამსახურებაა, რომ ეს ნარკვევიცა და პავლე ინგოროყვას სხვა შერისხული თხზულებებიც დაიბეჭდა. და ელოდები ადამიანი, რომ თავის რომანში ცოტნეზე გამოიყენებდა ამ აღმოჩენას, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ მოერია იმას, რომ რუსთველი ჰყოლოდა პერსონაჟად.

და ერთი ნოველაც მინდა ვახსენო. იყო ასეთი კარგი მწერალი, – ყარამან კიკვიძე, დღეს დაუფასებელი. მას აქვს ძალიან კარგი ნოველა ცოტნე დადიანზე. აქვე უნდა გავიხსენო შოთა ნიშნიანიძის ლექსიც, რომელიც ეძღვნება იმ ნოინს, რომელიც სულიერად ცოტნეს ტოლი და სწორი აღმოჩნდა და გაათავისუფლა ქართველი ტყვეები ცოტნეს ზნეობრივი გმირობით ატაცებულმა. მტერიც, მისი ღირსეული საქციელიც უნდა დავაფასოთ. ცოტნე დადიანის ფიგურაც სულ სხვანაირად მოჩანს, როცა ვიცით, რომ ის შოთა რუსთველის ოჯახის წევრია.

ცოტნე დადიანის დღე ხობში

არც ის არის შემთხვევითი, რომ იერუსალიმის აღაპებში გვერდიგვერდ არის მოხსენიებული მათი სახელები.

პავლე ინგოროყვას ეს ნარკვევი დავაფასოთ, როგორც ძვირფასი მონაპოვარი და ვისურვოთ, ადრე თუ გვიან დაიწეროს ის რომანი, ამოზრდილი პავლე ინგოროყვას ნარკვევზე, სადაც მთავარი მოქმედი პირები იქნებიან შოთა რუსთველი და პავლე ინგოროყვა.

ბატონმა როსტომმა საჩუქრად ჩამოიტანა პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ნაშრომების ახლადგამოცემული ოთხტომეულები, რითიც ძალიან გაახარა ადგილობრივნი.

ელგუჯა თავბერიძემ დიდგორობა და ცოტნეობა მოგვილოცა, აღნიშნა, ნიშანდობლივია, რომ ეს დღესასწაულები ერთმანეთს ემთხვევაო და განაგრძო:

ყველანი ვთანხმდებით, რომ ცოტნე დადიანის გმირობა ზნეობრივი გმირობაა. თუმცა სკეპტიკოსები ყოველთვის არსებობდნენ, დღესაც არიან. გასული საუკუნის 40-იან წლებში, როცა დიდი ქართველი ისტორიკოსები, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი ადგენდნენ მოსწავლეთათვის ისტორიის სახელმძღვანელოს, ჭოჭმანობდნენ, შეეტანათ თუ არა სახელმძღვანელოში ცოტნე დადიანის ეპიზოდი. ისინი ფიქრობდნენ, რომ რადგან მხოლოდ ჟამთააღმწერელთან არის ეს ამბავი მოთხრობილი, შეიძლება არც იყოს მართალიო. დღეს არავინ დავობს, რომ ცოტნე ისტორიული, რეალური პიროვნება იყო, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო იმ ზნეობრივ გმირობაში, რომელიც ჩაიდინა, არამედ მომდევნო საუკუნეების გადარჩენაშიც. შეუძლებელია, ცოტნეს სახებით არ დაინტერესებულიყო პავლე ინგოროყვა. დაინტერესდა და, როგორც მისთვის იყო დამახასიათებელი, ძირისძირობამდე შეისწავლა წყაროები და საოცარ დასკვნამდე მივიდა: აღმოჩნდა, რომ რუსთაველი და ცოტნე დადიანი დამოყვრებული ნათესავები იყვნენ. მათი მოყვრობა უამრავი არგუმენტითაა გამყარებული მეცნიერის მიერ. თუ ვინმეს არ სჯერა, კეთილი ინებოს და სხვა არგუმენტებითა და დოკუმენტებით უარყოს და სხვა დაამტკიცოს.

ერთიანი სახელმწიფოს განწყობას განამტკიცებს ამ ორი დიდი მამულიშვილის მოყვრობა. შოთა და ცოტნე ავსებენ და აერთებენ აღმოსავლეთსა და დასავლეთს. ჰერეთი და საქართველო ერთიანდებიან მაშინ, როცა ქვეყანა უკვე მონღოლების ხელშია. აქ გამოვლინდა ერთიანი საქართველოს სული, ერთიანი სახელმწიფოს განწყობა, რომელიც წინა საუკუნეებში გვქონდა. რუსთაველი და დადიანი ამ ერთიანობას ავსებენ. შოთას ბაგრატიონობა და ცოტნეს დანათესავება აერთებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს.

მესმის, რა ძნელი იქნებოდა გრიგოლ აბაშიძისთვის რომანში პერსონაჟად რუსთაველის შემოყვანა. ურთულესი საქმეა და მაინც, ვფიქრობ, გამოჩნდება ისეთი მწერალი, რომელიც შოთას და ცოტნეს გამოიყვანს პერსონაჟებად. პავლე ინგოროყვას აზრით, რუსთაველი არა მარტო გენიალური პოეტი, ასეთივე გენიალური პოლიტიკოსიც იყო ცოტნე დადიანთან ერთად. მათ შექმნეს ეპოქა, მათ შექმნეს ის განწყობა, რომ მონღოლს უკან დაეხია.

მონღოლს რომ უკან დაახევინო, ადვილი არ არის და ცოტნემ ეს შეძლო. კი ვახსენებთ იმ სახედაღრეჯილ მონღოლს, გმირობისა და ვაჟკაცობის უებრო მცოდნეს, მაგრამ მის წინ უნდა იდგეს ცოტნე დადიანი, მთასავით ცამდე ასული, შეუდრეკელი, ვაჟკაცობის უაღრესად გამომხატველი, თორემ სხვანაირად მონღოლს ვერ შეათრთოლებდა. დიდი ერები დიდ ადამიანებს აკავშირებენ ერთმანეთთან, ჩვენ კი ჩვენსას ვერ ვუვლით.

ფილმში „პირველი მერცხალი“ „აბა ულა“ გაჟღერდა საქართველოს ჰიმნად და ეს პავლე ინგოროყვას დამსახურება მგონია, მისი რჩევით ჩართული ამ კინოსურათში, დაპყრობილი ქვეყნის ჰიმნი გაჟღერდა და ამას ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. კოლონიზაციის პირობებში პირველად ერთ-ერთ რესტორანში შალვა დადიანის „მხოლოდ შენ ერთს“ გააჟღერეს, როგორც საქართველოს ჰიმნი და მერე იყო ეს ფილმი. პავლე ინგოროყვა გახლდათ მართლაც სწორუპოვარი მეცნიერი, მომავალშიც მის აზრებს ბევრჯერ დაისაჭიროებს საქართველო. მისი ნაშრომები ხვალ და ზეგ უფრო დაფასდება და აუცილებლად ვიხილავთ შოთასა და ცოტნეს რომანის, ნოველის, პიესის პერსონაჟებად, ლექსების ლირიკულ გმირებად სწორედაც ერთად, პავლე ინგოროყვას მონიშნული გზით უნდა გამდიდრდეს სიტყვაკაზმული მწერლობა. ეს ჩვენი მისიაა.

მე ვთქვი, რომ რუსთაველისა და ცოტნეს ნათესაობა ჩვენთვის ხელშესახებს ხდის ახალგაზრდა დადიანის გმირობის არსს, გასაგები ხდება, რომ რუსთველური შეგონებანი მოყვასისთვის თავგანწირვის შესახებ ცოტნეს შინაურულ წრე-გარემოში ექნებოდა შეთვისებული და ამდენად, სისხლსა და ხორცში გამჯდარი. მაშ ცოტნე არა მარტო ზნეობრივი სიმაღლისა და ჭირში გაუტეხელობის სიმბოლოა, არამედ ძალდაუტანებლად იგივდება თამარისდროინდელ საქართველოსთანაც და ჩვენი, ასე ვთქვათ, „უბორკილო დღის“ სიმბოლოც გახლავთ.

გამოვთქვი რწმენა იმისა, რომ რაკი იყო, ესე იგი ახლაც არის და მომავალშიც აუცილებლად იქნება, არასოდეს გაქრება რწმენისთვის, სამშობლოსთვის, მოყვრისთვის თავგანწირვის იდეა.

ვახსენე აკაკი წერეთლის „ნათელაც“, რომელშიც აშკარად ჩანს, ცოტნეს მეუღლის განსაკუთრებულობა. ცხადია, პოეტმა ზეპირი გადმოცემებით რაღაც უსათუოდ იცოდა ამ ქალის გამორჩეულობის შესახებ. სხვა გამომსვლელთა მსგავსად, მეც ისეთი განცდა მაქვს, რომ ქართული ლიტერატურა ჯერ კიდევ ვალშია ცოტნე დადიანის სახელის წინაშე.

ივანე ამირხანაშვილმა იმით დაიწყო, რომ თავისი ნახევრადხობელობა აღნიშნა. ოცი წლის წინათ დაწყებულა მისი ურთიერთობა ამ ქალაქთან, ხობის საპატიო მოქალაქედაც აურჩევიათ. მთელმა ჩემმა საახლობლომ, სამეგობრომ იცის, როგორ ვამაყობ ამითიო, – ბრძანა ბატონმა ივანემ და საუბარი დაახლოებით ასე ააწყო:

რამ წარმოშვა ცოტნეს გმირობა, უცნაური მოვლენა, რომელიც ჟამთააღმწერელმა დაგვიტოვა? მე ვფიქრობ, კულტურამ. ცოტნე კულტურული გმირია. ეს ხომ შემთხვევით არ ხდება, მხოლოდ ინტელექტის კარნახით შეიძლება ასე მოქმედება. ასეთი გმირობა სწორედ რუსთაველის დროს უნდა ჩაედინათ, ცოტნე რუსთველური გმირია, იმ იდეოლოგიის წარმომადგენელია, რომელსაც ქადაგებს რუსთაველი, რომელსაც წარმოადგენენ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი და რომელიც თამარის საუკეთესო კარზე შემუშავდა. მისი სრულყოფილი გამოხატულება ხომ „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს. კულტურა გლობალური მოვლენაა. იგი უცებ არ წარმოიშობა, ყანასავით ვერ დათესავ, რომ უცებ ამოვიდეს. მისი ჩამოყალიბება შორეულ წარსულში დაიწყო, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის დროს, ქართული ეკლესია-მონასტრებით დაიწყო ახალი კულტურის დამკვიდრება. მანამდე, როგორც ჩანს, ნერსე ერისთავმა დაამუშავა ეს გეგმა. ამ ინტელექტუალური გმირობის წარმომადგენელია ცოტნე.

ამ პერიოდში საქართველოსა და ევროპაში ერთდოულად ვითარდება კულტურა. საქართველო და ევროპა სრულ უნისონში არიან. ქართული ქრისტიანული კულტურა და ევროპული ქრისტიანული კულტურა ერთი მოვლენაა. მინდა გავიხსენო დამიანეს მხატვრობა, მართალია, ცოტა მოგვიანო ხანაა, მაგრამ იგი გამოხატავს იტალიური აღორძინების სულისკვეთებას. ჩვენი ტაძრების მოხატულობებიც ხომ მაღალი კულტურის შედეგი და ნიმუშია. მომავალში რა გადაარჩენს საქართველოს? დარწმუნებული ვარ – კულტურა.

მაღალმა კულტურამ წარმოშვა ის სულიერება, რომელიც ეკლესიაში დაიწყო და დღესაც ეკლესიაში გრძელდება.

გრიგოლ აბაშიძის რომანში „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ იტალიაში ფერწერას სწავლობს ქართველი მხატვარი, სამეგრელოდან... პირველად როცა წავიკითხე, მაშინ ძალიან უცნაურად მომეჩვენა. მხატვარი გივი თოიძე ხუმრობს ხოლმე და მეც მივბაძავ და გავიმეორებ, იტალიური აღორძინების დამწყები, ჯოტო, რომლის ბიოგრაფიის შესახებ არაფერი ვიცით, ალბათ, აქაური, სამეგრელოდან წასული კაცია – ჯოტო ბონდოს ძე. ეს ნახევრად ხუმრობით.

საქართველოს ერთიანობა გამოხატა რუსთაველმა და ზნეობრივ-მორალური კუთხით განამტკიცა ცოტნემ.

სამეგრელო-ზემო-სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **ალექსანდრე მოწელია:**

ისტორიის გააზრება გვაძლევს იმის საშუალებას, წარსულით განვჭვრიტოთ მომავალი. ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოები გადასახედია. ბევრი რამ ხელახლაა დასაწერი. დავით აღმაშენებელმა მოახერხა საერო და სასულიერო ხელისუფლების ფორმირება. მისი აღმზრდელი ჭყონდიდელი გახლდათ. ცოტნეს დროს კი ყველაფერი დაკნინდა, გადაგვარდა. ცოტნემ მოგვცა მაგალითი იმისა, თუ რა არის ნამდვილი საქართველო. გრიგოლ აბაშიძემ თავის რომანში აღწერა, როგორ აგებენ ფლოტს სამეგრელოში. საინტერესო ამბავია. საქართველოს ნაოსნობის ისტორია არ არის შესასწავლილი სრულად. როგორც ჩანს, დიდი და მნიშვნელოვანი ფლოტი გვქონდა. დასავლეთის კულტურასთან საქართველოს ჰქონდა მჭიდრო კავშირი. ევროპისკენ მიმავალი ბათო ყაენი და მონღოლები შეაჩერა საქართველომ. დღეს ევროპისკენ გზა გახსნილი გვაქვს. ცოტნე იქით მიგვიძღვის სწორედ.

მეუფე გრიგოლმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს, აღნიშნა, თქვენმა მადლიანმა სიტყვამ ძალიან დაამშვენა დღევანდელი დღეო, და თვითონაც სწორედ რომ მადლიანი სიტყვა გვითხრა (ჯერ ტაძარში და მერე უკვე დარბაზში):

ცოტნე არ არის წარსული. ის აწმყო და მომავალია. თუ წარსულად დარჩება, წაიშლება რუკიდანაც და ცივილიზაციის ისტორიიდანაც. ჩვენი ამოცანაა, რომ გავაცნობიეროთ, ვისი შთამომავლები ვართ და რა გვევალება... გვჭირდება სერიოზული იმპულსი, სერიოზული სულიერი ენერგია ამ დაბნეულობის ჟამს. საქართველოს ადგილი, რა თქმა უნდა, ევროპაშია.

ერმა და ბერმა ერთად უნდა ვაშენოთ მომავალი იმ გრძნობით, რასაც სამშობლოსა და მოყვასის სიყვარული ჰქვია. საქართველოს ეკლესია არ გაუცრუებს თავის სულიერ შვილებს იმედებს.

ახლა, ამ წუთში ცოტნე აქ არის, ჩვენ შორისაა.

როსტომ ჩხეიძის რეპლიკა:

– რუსთაველიც აქ არის.

მეუფე გრიგოლი ეთანხმება და განაგრძობს: მათი შრომის შედეგია ის, რომ დღეს ამ თემებზე ვსაუბრობთ და მომავალზე ვართ ორიენტირებულნი.

დარბაზიდან გამოსულთ მეგრული სტუმართმოყვარეობის შესაფერისი ტრაპეზი გველოდა. ცხელოდა 2 აგვისტოს ხობში. ანა კალანდაძის ლექსის პერიფრაზი ამეკვიატა: ასეთი მწველი მზე თუ იყო მაშინ, ოდეს ანისში ქართველი შეთქმულები აწამეს? ამქვეყნად ყველაფერი ქრება და მხოლოდ მზე, ზღვა და მიწა რჩება?.. და კიდევ: გამორჩეული, უჩვეულო საქციელია უკვდავი და მარადიული, ყველა ეპოქასა თუ ყველა თაობასთან უხილავი ძაფით გადაბმული და გადაჯაჭვული.

ნინო ვახანია

აუცილებელი მილი...

როგორი შეიძლება იყოს „გაზპრომის“ და უკრაინის კომპრომისი



3 თვეა დარჩენილი გაზის ინდუსტრიის ისტორიაში ყველაზე დაძაბული და რეზონანსული მოლაპარაკების დასრულებამდე – საუბარია ევროპაში გაზის ტრანზიტთან დაკავშირებით 2009 წელს ხელმოწერილი რუსულ-უკრაინული შეთანხმების გაგრძელებაზე.

2009 წელს უმძიმესი მოლაპარაკებების შემდეგ, ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა – ვლადიმერ პუტინმა და იულია ტიმოშენკომ – ხელი მოაწერეს დოკუმენტს, თუმცა 2019 წელს, 19 სექტემბერს გამართული კონსულტაციების შემდეგ, მხარეები არ გამორიცხავენ, რომ ტრანზიტი შეთანხმების გარეშე გაგრძელდება.

შემოვლითი მარშრუტები

ბოლო ერთი წლის მანძილზე ევროპის საგზაო მარშრუტი კარდინალურად შეიცვალა – 2009 წელს უკრაინული გაზსადენი იყო სატრანზიტო მონოპოლია – 2009 წელს რუსეთმა ევროპას 140 მლრდ. კუბური მეტრი გაზი მიაწოდა, საიდანაც 70%-მა სწორედ უკრაინის გაზის ტრანსპორტირების სისტემაში გაიარა.

2019 წელს უკრაინული მარშრუტის წილი შემცირდა 43%-მდე, ხოლო რუსული გაზის ექსპორტი რუსეთში გაიზარდა 201,8 მლრდ. კუბურ მეტრამდე.

შეიცვალა სიტუაცია ევროპაშიც – მკვეთრად შემცირდა კონტინენტის ქვეყნების დამოკიდებულება რუსულ გაზზე. 10 წლის წინ ევროპელი პოლიტიკოსები და ექსპერტები საუბრობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თითქმის 100%-ან დამოკიდებულებაზე „გაზპრომზე“ – დღეს კი, ევროკავშირის ქვეყნების ენერგოსისტემების მდგრადობა ბევრად უფრო მაღალია და რუსული გაზის მიწოდების შეფერხება სერიოზულ პრობლემებს მხოლოდ ბულგარეთში შექმნის.

ბოლო წლების მანძილზე ევროპაში განვითარდა გაზსადენების დიდი და ფართო ქსელი, რომელიც აერთიანებს ქვეყნებს და აძლევს მათ საჭიროების შემთხვევაში სხვა მიმწოდებლებისგან გაზის მიღების საშუალებას.

ასე რომ, ევროპის გაზმომარაგებაში რუსეთის წილი 35%-ია. დღეს ევროკავშირს აქვს საწვავის მიღების გაცილებით მეტი ალტერნატიული წყარო – ყოველ შემთხვევაში ევროპა ადვილად გადაიტანს რუსეთიდან გაზმომარაგების მოკლევადიან შეფერხებას, რომელიც შესაძლებელია, მოსკოვსა და კიევს შორის გამწვავებული ურთიერთობებიდან გამომდინარეობდეს.

ამ სიტუაციაში შემცირდა ასევე უკრაინული ტრანზიტის მნიშვნელობაც – ის ხდება რუსული გაზის მიღების არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი წყარო და შემოვლითი გაზსადენების ამოქმედების შემდეგ მას გააჩნია დამაბალანსებელი როლი.

ამიტომაც, დაძაბული მოლაპარაკებების დასრულების წინ, ევროპელი ტრეიდერები ინარჩუნებენ სიმშვიდეს, ბაზარზე არ შეინიშნება პანიკის ნიშნები.

ბრიუსელში გამართულმა მოლაპარაკებებმა ასევე ცხადყო, რომ მხარეებიც უკვე დაღალა ამ დაუმთავრებელმა ჩხუბმა და ისინი მზად არიან კომპრომისისთვის. ზამთარი ახლოსაა!

როგორი შეიძლება იყოს შეთანხმება?

სტრატეგიულად ორივე მხარეს აქვს საკუთარი არგუმენტები. რუსეთს – თითქმის აშენებული „თურქული ნაკადი“ და „ჩრდილოეთ ნაკადი-2“, უკრაინას – სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დააკისრა „გაზპრომს“ 2,56 მლრდ. დოლარის ოდენობის ჯარიმა სატრანზიტო შეთანხმების პირობების დარღვევის გამო.

ტაქტიკურად მხარეების პოზიციები თითქმის ერთნაირია – „გაზპრომს“ ჯერ არ მიუღია „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის დანიის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვა, ხოლო გერმანიაში გაზსადენ OPAL-ის სიმძლავრეების ნახევარი, რომლის გამოყენებაც იგეგმებოდა, რუსეთისთვის ბლოკირებული აღმოჩნდა.

OPAL-ის ბლოკირება შეუქმნის განსაკუთრებულ პრობლემებს გაზპრომს ზამთარში, როდესაც ევროპაში გაზის მოხმარება მკვეთრად იზრდება.

„გაზპრომის“ უპირატესობებს შორის არის „თურქული ნაკადის“ დასრულებული პირველი ნაწილი და ევროპის გაზსაცავებში რუსული ბუნებრივი აირის უპრეცედენტოდ დიდი მარაგი – 11 მლრდ. კუბური მეტრი.

40 მლრდის ტრანსპორტირება შესაძლებელია „თურქული ნაკადით“ – ეს გაზი წავა თურქეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში, მაკედონიაში და რუმინეთში – სწორედ ეს ქვეყნებია ყველაზე მეტად დამოკიდებული უკრაინულ ტრანზიტზე.

თუმცა, სანამ არ აშენდება „ჩრდილოეთ ნაკადი-2“, ზამთარში რუსეთს აკლდება ევროპაში დღე-ღამეში 100 მლნ. კუბური მეტრის ტრანსპორტირების სიმძლავრეები. ეს დიდი ციფრია, და საბოლოო ჯამში, უკრაინულ მარშრუტზე უარის თქმა არ გამოვა.

ახალი წესები

19 სექტემბრის შეხვედრაზე მხარეები ალაპარაკდნენ შესაძლო კომპრომისზე: უკრაინას შეუძლია თავის სიმძლავრეების გამოყენება მოკლევადიანი დაჯავშნისთვის და სხვა კლიენტების არარსებობის პირობებში, ერთადერთი მიმწოდებელი ამ პირობებში იქნება „გაზპრომი“.

ამისთვის, დარჩენილ რამდენიმე თვეში უკრაინა უნდა გადავიდეს მუშაობის ახალ წესებზე, კერძოდ, შექმნას ბაზრის დამოუკიდებელი ოპერატორი, რაც საკმაოდ რთული ტექნიკური და იურიდიული ამოცანაა, რომელიც უნდა შესრულდეს 1 დეკემბრამდე. ეს ადვილი არაა, თუმცა, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში – სავსებით შესაძლებელია.

შემდეგ მოსალოდნელია უფრო სტაბილური და მდგრადი შეთანხმება ტრანზიტის პირობებზე, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ იქნება 60 მლრდ. კუბური მეტრი 10 წლით! სავარაუდოდ, მომავალი კონტრაქტი იმოქმედებს 5 წელი, ხოლო გაზის რაოდენობა არ იქნება დაკონკრეტებული – ის იქნება დამოკიდებული სეზონზე და მოთხოვნაზე.

უკრაინული მარშრუტის უპირატესობა ისაა, რომ მილსადენს არ სჭირდება ხარჯების ამოღება – ის უკვე დიდი ხანია, მუშაობს მოგებაზე, და მოითხოვს ხარჯებს მხოლოდ მუშა მდგომარეობის შენარჩუნებაზე – შესაბამისად, მას მოაქვს სუფთა მოგება ნებისმიერ პირობებში და ტრანზიტის ნებისმიერი ღირებულებით.

მისგან განსხვავებით რუსეთის ახალ გაზსადენებს სჭირდებათ გარანტირებული შევსება ინვესტიციების ამოღების მიზნით და მომგებიანობის ფიქსირებული ნორმა, რომელიც ყველა შემთხვევაში იქნება ნაკლები ვიდრე უკრაინული მილსადენის.

როგორც ჩანს, კომპრომისის აუცილებლობა ესმით მოსკოვშიც და კიევშიც. რუსეთი, რომელიც ცოტა ხნის წინ გამორიცხავდა უკრაინული მარშრუტის გამოყენებას, გაცილებით უფრო ფრთხილია – ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტრო დღეს იყენებს გაცილებით უფრო რბილ და ზოგად ფორმულირებებს გაზის ტრანზიტთან დაკავშირებით და არ გამორიცხავს „სხვადასხვა ვარიანტებს“. შესაბამისად, თუ არ მოხდა რაიმე საშინელება, საგაზო აპოკალიფსი ევროპაში მოსალოდნელი არ არის.

უკრაინა შეძლებს დამატებითი მოგების მიღებას ტრანზიტისგან, „გაზპრომი“ კი მოიგებს დროს „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ს მშენებლობისთვის.

ევროპა კი მიიღებს სტაბილურობას გაზის მომარაგებაში და შესაძლოა, გადახედოს კიდეც ნეგატიურ დამოკიდებულებას ალტერნატიული მარშრუტების მიმართ.

RBC

იტალიის პარლამენტში დეპუტატების რაოდენობა შემცირდება

იტალიაში მიღებული ცვლილებების მიხედვით, პარლამენტის წევრების რაოდენობა 630-დან 400-მდე შემცირდება, სენატორების კი 315-დან 200-მდე. კანონმდებლების თქმით, ეს გადაწყვეტილება ქვეყანას დეპუტატების ხელფასებზე დახარჯული ასობით მილიონი ევროს დაზოგვის საშუალებას მისცემს. თუმცა ცვლილებების მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ დეპუტატების რაოდენობის შემცირება დემოკრატიას შეასუსტებს და ლობისტების გავლენას გააძლიერებს.

პარლამენტის წევრების რაოდენობის შემცირება პარტია „ხუთი ვარსკვლავის“ ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო. პარტიის Twitter-ის გვერდზე გამოქვეყნებული სტატუსის მიხედვით, ცვლილება ქვეყანას 10 წლის განმავლობაში 1 მილიარდი ევროს დაზოგვის საშუალებას მისცემს.

ახალი კანონი ძალაში შემდეგი არჩევნების შემდეგ შევა, რომლებიც 2023 წელს გაიმართება.

„ხუთი ვარსკვლავის“ და ცენტრისტულ-მემარჯვენე დემოკრატიული პარტიის (PD) ლიდერები კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ აგვისტოში შეთანხმდნენ. ქვეყნის ახალმა მთავრობამ კი ფიცი 5 ოქტომბერს დადო.

გაერო გაღარიბდა?

გაეროს ბიუჯეტში საწევროების დაგვიანებული შეტანის გამო შესაძლოა ორგანიზაციის თანამშრომლებს ხელფასი ვერ მისცენ. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა ათწლეულის განმავლობაში ორგანიზაციის ბიუჯეტში უმსხვილეს კრიზისზე ილაპარაკა, რომელიც უკვე მომდევნო თვეს დადგება.

მიმდინარე წელს გაეროს ბიუჯეტი დაახლოებით 3,3 მილიარდი დოლარია. ორგანიზაციის მონაცემებით, 129 წევრმა სახელმწიფომ აუცილებელი საწევრო უკვე გადაიხადა, რომლის საერთო ოდენობა დაახლოებით 2 მილიარდი დოლარია. გაეროს ბიუჯეტში ყველაზე დიდი თანხა აშშ-ს შეაქვს. კერძოდ, მასზე ორგანიზაციის ბიუჯეტის 22% მოდის.

თურქეთი ერაყსა და სირიას ვერ თმობს

თურქეთის პარლამენტმა ერაყსა და სირიაში სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად მანდატი 2020 წლის 30 ოქტომბრამდე გაახანგრძლივა. ინფორმაციას თურქული მედია ავრცელებს.

გადაწყვეტილება თურქეთის საკანონმდებლო ორგანოში მას შემდეგ მიიღეს, რაც თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სამხედრო მოქმედებების დასაწყებად სამზადისი დასრულებულია.

„თურქეთის უსაფრთხოების ძალები ვერ შეეგუებიან თურქეთის საზღვართან ტერორისტებისთვის უსაფრთხო დერეფნის მოწყობას“, – განაცხადეს თურქეთის თავდაცვის სამინისტროში.

თურქეთი სირიაში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას გეგმავს, რომელიც თურქეთ-სირიის საზღვარზე უსაფრთხოების ზონის მოწყობას ისახავს მიზნად. ამ ზონაში სირიელი ლტოლვილების განსახლება იგეგმება.

ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲘ... ᲡᲝᲡᲘᲡᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲔᲑᲛᲐ გადამუშავებული ხორცი (ძეხვი, სოსისი, ბეკონი) სერიოზულ კანცეროგენთა რიცხვს მიაკუთვნეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გადამუშავებული ხორცი — მისი მავნებლობის და ხარისხის გამო! — თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებას გაუთანასწორა. ბოლო გამოკვლევათა ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ **დღეში 50 გრამი ასეთი პროდუქციის მოხმარება კუჭ-ნაწლავის კიბოთი დაავადების რისკს 18 პროცენტით ზრდის(!)**

მკვლევარები აცხადებენ, რომ ბევრი რამ ხორცის დამუშავების ხარისხზეა დამოკიდებული. სოსისიც, ძეხვიც და ბეკონიც ხორცის დაახლოებით 15 პროცენტს შეიცავს, დანარჩენი კი სახამებელი, გემოს სხვადასხვა დანამატი, ხანგრძლივი შენახვის კონსერვანტები, საღებავის ფიქსატორები, დამჟანგველები და სხვა მდგენელებია. აქედან **ძეხვეული პროდუქციის თითქმის ნახევარს ტყავი, ძვლები და სუბპროდუქტები შეადგენენ,** აცხადებენ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტები. ამდენად, მის „ხორცის ნაწარმად“ მოხსენიება, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

260 ათასზე მეტი ქალბატონის მონაცემთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ **ძეხვეულის მოხმარება სარძევე ჯირკვლის კიბოს გაჩენის საფრთხეს ზრდის:** საკმარისია კვირაში ბეკონის სამი ნაჭრის ან ორი სოსისის მირთმევა, რომ დაავადების გაჩენის რისკმა 15 პროცენტით მოიმატოს.

ბრიტანელთა მონაცემებით, წელიწადში 34 ათასი კაცი შეესაძლოა წითელი ხორცის მოხმარების გამო იღუპება. ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სიკვდილიანობა თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების შედეგად (შესაბამისად, წელიწადში მილიონი და 600 ათასი კაცი).

მეცნიერებმა 500 ათასი ბრიტანელის მონაცემებიც გაანალიზეს და აღმოჩნდა, რომ **ხორცის ნაკეთობათა მოყვარულებში მსხვილი ნაწლავის კიბოს გაჩენის რისკი 20 პროცენტითაა გაზრდილი.**

ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ კიბოს კვლევის მსოფლიო ფონდის სპეციალისტები მაინც არ იძლევიან წითელი ხორცის მოხმარებაზე სრული უარის თქმის რეკომენდაციას. საქმე ისაა, რომ წითელი ხორცი შეიცავს სასარგებლო ცილებს, ცხიმებს და ორგანიზმისთვის მეტად საჭირო რკინას. ამიტომ, **ექიმები გვირჩევენ დღე-ღამეში ხორცის 70-გრამიანი ულუფით შემოვიფარგლოთ.**

ᲛᲝᲓᲘ, ᲩᲔᲛᲝ ᲙᲠᲣᲭᲣᲜᲘᲐ!

ᲡᲐᲮᲚᲨᲘ კატის ყოლა, თურმე, სიცოცხლეს ახანგრძლივებს.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ კატების პატრონები ინსულტებით და ინფარქტებით სხვებთან შედარებით, 18-20 პროცენტით ნაკლები ავადდებიან. კატის კრუტუნი (ეს კი 20-დან 50 ჰერცამდე ბგერითი რხევებია) თავის ტვინში სიამოვნების ცენტრზე მოქმედებს. ეს კი, თავის მხრივ, ვეგეტატური ნერვული სისტემის სტიმულირებას ახდენს და სტრესს ხსნის.

„ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ...“

ᲣᲛᲓᲘᲓᲠᲔᲡᲘ ადამიანების რიცხოვნობით მსოფლიოში პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც მილიარდ დოლარზე მეტი ქონება 585 კაცს აქვს.

ამერიკელთა შემდეგ, ოლიგარქთა სიის მეორე ადგილზე არიან **ჩინელები,** სადაც 373 მილიარდერია, მესამეზე კი **ინდოელები** — 119 კაცი.

უმდიდრეს პირთა ოდენობით მომდევნო ადგილებზე არიან: — **რუსეთი** (101 მილიარდერია) — **ჰონგკონგი** (67); — **დიდი ბრიტანეთი** (54); — **კანადა** (46); — **სამხრეთ კორეა** (44); — **ავსტრალია-იტალია** (43-43); — **ბრაზილია** (40).

ᲠᲐᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲔᲜᲐ ᲘᲪᲘ...

ᲡᲘᲑᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ გონების შენარჩუნებაში კაცს ახალი ენის შესწავლა ეხმარება.

ეს დასკვნა მეცნიერებმა გამოიტანეს მას შემდეგ, რაც პენსიონერთა თავის ტვინის მოქმედების თავისებურებები შეისწავლეს, რომლებიც ენებს ინტენსიურად სწავლობდნენ. თანატოლებთან შედარებით, რომლებიც ინტელექტუალური აქტივობის სხვა სახეობებით იყვნენ დაკავებულნი, მათ თავის ტვინის მაქსიმალური აქტივობა დაუდგინდათ.

„ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ...“

ᲗᲕᲐᲚᲘᲡ თვალში გასწორებული მზერა, თურმე, კაცს უფრო მეტად მოსაწონს ხდის.

სხვა სქესის წარმომადგენლისთვის თავის მოწონების შანსი გაცილებით მატულობს, თუკი შეხვედრისას მას თვალს გაუსწორებთ და რაც შეიძლება ხშირად გაიღიმებთ. მეცნიერთა აზრით, ასეთი მზერა ხშირად საპასუხო გრძნობებს იწვევს. პიროვნების მიმზიდველობის განსაზღვრისას, ადამიანები ასევე ყურადღებას აქცევენ მისი სახის სიმეტრიულობასა და კანის მდგომარეობას.

„Ო, ᲔᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ!“

ᲗᲐᲕᲘᲡ დროზე ერთ ცნობილ სიმღერაში ასეთი სიტყვები იყო: „იმიტომ, რომ 10 გოგონაზე ჩვენში მხოლოდ 9 ბიჭია“... ეს სიმღერა 1966 წელს დაიწერა, მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, ბიჭების ოდენობა კი მსოფლიოში არ გაზრდილა. ეს მაჩვენებელი კიდევ ახლა უფრო შემცირებულია.

მაგალითად, ყოველ ათას სულ მოსახლეზე სხვადასხვა ქვეყანაში ქალების სხვადასხვა ოდენობა მოდის. კერძოდ, **ყატარში** 249 ქალია, **არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში** — 276, ომანში — 342, **ინდოეთში** — 482, **ჩინეთში** — 485, **ეგვიპტეში** — 494, **ნორვეგიაში** — 495, **ტაჯიკეთში** — 498, **კამერუნში** — 500, **ავსტრალიაში** — 502, **აშშ-ში** — 505, **გერმანიაში** — 508, **ესპანეთში** — 510, **იაპონიაში** — 512, **პოლონეთში** — 517, **რუსეთში** — 535, **უკრაინაში** — 538, **ლიეტუვაში** — 539, **ჰონგკონგში** — 540, **ლატვიაში** — 541.

ᲠᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ?!

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ევროპელმა ჟურნალისტმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ მივლინებაში იაპონიაში იყო, მკითხველებს გასაოცარი შემთხვევის შესახებ უამბო, რომლის მსგავსი ბებერ კონტინენტზე, მისი აზრით, თითქმის წარმოუდგენელია რომ მოხდეს.

ერთ საღამოს, როცა ჟურნალისტი მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ სტუმრად ყოფნის შემდეგ ტოკიოში მანქანით ბრუნდებოდა, გზაზე ისინი პოლიციელმა გააჩერა, რომელმაც ტილოთი ავტომობილის ფარების გაწმენდა დაიწყო: „წინ სახიფათო მოსახვევია, ბატონებო!“ — ასე „იმართლა“ თავი სამურაების შთამომავალმა... მდაააა...

ᲣᲫᲚᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔ



ᲘᲛᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐ მემკვიდრეობით გადაიცემა. გენეტიკური გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა დნმ-ს უბანი, რომელიც მამაკაცურ პოტენციაზეა პასუხისმგებელი, და 25 პროცენტით ზრდის ერექტილური დისფუნქციის განვითარების რისკს.

დანარჩენ შემთხვევაში კი სქესობრივი უძლურება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, სიმსუქნეს, დიაბეტსა და თამბაქოს მოწევისადმი ლტოლვას პროვოცირებს.

ᲐᲑᲐ, ᲔᲒ ᲠᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲐ!..

ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ საქონლის ხორცი ერთ-ერთ ყველაზე ძვირფასად ითვლება. არადა, შუა საუკუნეებში ძროხებს არა ხორცით, არამედ რძის წველადობის მიხედვით აფასებდნენ, რომლისგანაც ყველს, კარაქს, ხაჭოს, მაწონს ამზადებდნენ.

იმ ხანებში საქონლის ხორცი იაფი იყო და ითვლებოდა, რომ ასეთ საჭმელს ადამიანში მელანქოლიის გამოწვევა შეუძლია.

ᲠᲐ ᲖᲝᲛᲘᲡ ᲤᲔᲮᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲞᲐᲬᲐᲬᲘᲜᲐᲕ?

ᲑᲝᲚᲝ 30 წლის მანძილზე მანდილოსნების ფეხი საშუალოდ, სამი ზომით გაიზარდა.

ამჟამად ყველაზე მეტი გასავალი ქალის ფეხსაცმლის 38-39 ზომას აქვს, 30 წლის წინათ კი სტანდარტული 35-36 ზომა იყო.

ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მოწიფების პერიოდში მოზარდები მაღალკალორიულ, ცხიმებითა და ნახშირწყლებით მდიდარ სურსათს მოიხმარენ, რომელიც ძვლების სწრაფად ზრდასაც უწყობს ხელს.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ... ᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲓᲔᲕᲜᲘᲡᲐ და ცუდი მოპყრობის ობიექტებად სკოლაში უფრო ხშირად ის ბავშვები ხდებიან, ვისაც ოჯახში სასტიკად ეპყრობიან, ანდა „დედიკოს“ შვილები.

სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი დაცინვას ურთიერთობათა ერთადერთ შესაძლო ვარიანტად აღიქვამენ, ოჯახში შექმნილი „სასათბურე ატმოსფერო“ ხელს უშლის ბავშვს, ახლოს გაეცნოს გარესამყაროს და თანატოლებთან კონტაქტის დამყარებას უძნელებს.

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲡᲞᲘᲠᲘᲜᲘ

ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚ კარდიოლოგთა ბოლო კონგრესზე, რამდენიმე მოხსენება წაიკითხეს იმის თაობაზე, რომ პირველადი პროფილაქტიკის დროს, ასპირინი არ იცავს გულისა და სისხლძარღვთა დაავადების დაბალი რისკის მქონე პაციენტებს.

პროფესიონალებისთვის ეს დიდი ხანია, ცნობილია და კარგად უწყიან, რომ ასპირინი ეფექტიანად იცავს იმ პაციენტებს, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადების წარმოშობის მაღალი რისკი აქვთ, აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როცა გულის იშემიურ დაავადებას, ანდა ათეროსკლეროზის სხვა გამოვლინებებს უჩივიან. ასეთ შემთხვევებში ასპირინი №1 სამკურნალო საშუალებად რჩება.

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲙᲔᲜᲬᲔᲠᲝᲪ „ᲛᲬᲐᲠᲔ ᲐᲠᲘᲡ“

ᲠᲐᲪ უფრო მეტადაა ადამიანი განათლებული, მით უფრო მეტად განგაშიანი ფსიქიკის პატრონია.

ექსპერტთა მონაცემებით, სტრესის ყველაზე მაღალი დონეა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებსა და საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ხალხში. ისინი, ვინც თავს მდიდრების რიცხვს მიაკუთვნებენ, იმათზე მეტს ნერვიულობენ, ვისაც პურის ფული არა აქვს. ყველაზე მშვიდი ადამიანები კი არასრული საშუალო განათლების მქონენი არიან.

ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘ ნეგატიურად მოქმედებს გულსა და ღვიძლზე.

გამოკვლევებით ირკვევა, რომ ეტანოლით გამუდმებით მოწამლვა დამღუპველად მოქმედებს გულზეც. მსმელი ხალხის 90 პროცენტი ჰიპერტონიასა და კარდიომიოპათიას (ანუ გულის კუნთის გადაგვარებასა და სისუსტეს) უჩივის.

◎ თარიღი

სეოკი 30 წლისაა

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა სეოკ-ის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ სეოკ-ის დაფუძნების ინიციატორები, ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები, წლის წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩინოსნები, სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, სპორტის გულშემატკივრები, ჟურნალისტები.

საზეიმო მიღებაზე მიწვეულ საზოგადოებას მიესალმა სეოკ-ის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი.**

„30 წლის წინათ, 1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი — დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. სწორედ იმ მომენტიდან ქართული ოლიმპიური სპორტი დამოუკიდებლად განვითარების გზას დაადგა და ეს მოხდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ცხადია, სეოკ-ის დაფუძნებას წინ უძღოდა შრომატევადი მოსამზადებელი საორგანიზაციო სამუშაოები, რომელიც გასწიეს საინიციატივო ჯგუფის წევრებმა. არანაკლები დრო და ძალისხმევა დასჭირდა იმას, რომ საქართველო საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო. რთულ და დრამატული მოვლენებით აღსავსე წლებში, ახალ პოლიტიკურ რეალობაში, სწორედ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იდგა ქართული სპორტის ავანგარდში და სპორტულ ფედერაციებს, ჩვენს სპორტსმენებს გზას უკაფავდა საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად,“ — აღნიშნა ხაბელოვმა.

მან გაიხსენა აგრეთვე რამდენიმე საკვანძო თარიღი და ამბავი.

1992 წელი — ბარსელონაში, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად, აჟღერდა საქართველოს ჰიმნი, აღიმართა ჩვენი დროშა.

1993 წელი — საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თავის სრულუფლებიან წევრად მიიღო.

1993 წელი — შედგა საქართველოს დებიუტი ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე.

1994 წელი — საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, პირველად გამოვიდა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე.

1995 წელი — თბილისში გაიხსნა ოლიმპიური მუზეუმი.

1996 წელი — საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, პირველად მონაწილეობდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში და ამ სტატუსით ჩვენმა სპორტსმენებმა (სოსო ლიპარტელიანი, ლუკა კურტანიძე) პირველად მოიპოვეს მედლები.

2004 წელი — დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით პირველი ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე.

2015 წელი — საქართველომ პირველად უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს.

2018 წელი — პირველად გაიმართა ყველა დროის ქართველ ოლიმპიელთა ფორუმი.

1996-2016 წლებში, ანუ ზაფხულის ოლიმპიადებში დამოუკიდებლად მონაწილეობის პერიოდში ჩვენ მოვიპოვეთ 31 მედალი, მათ შორის — 8 „ოქრო“.

სიტყვით გამოვიდნენ სეოკ-ის პირველი პრეზიდენტი **ნონა გაფრინდაშვილი** და სეოკ-ის დაფუძნების საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი **თენგიზ გაჩეჩილაძე.** ოლიმპიელებს საიუბილეო თარიღი მიულოცა იაპონიის ელჩმა საქართველოში **ტადაჰარუ უეჰარამ.**

სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **ელგუჯა ბერიშვილმა** წარადგინა 2019 წლის წარმატებული ქართველი სპორტსმენები და ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტები. მათი სახელით სიტყვით გამოვიდა ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპისა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე.**

შემდეგ გაიმართა საიუბილეო გამოცემის — „ოლიმპიური ორტომეულის“ პრეზენტაცია. როგორც პროექტის ავტორმა და მთავარმა რედაქტორმა **ელგუჯა ბერიშვილმა** აღნიშნა, ეს არის ენციკლოპედიური კრებული, რომელიც აერთიანებს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ინფორმაციას ოლიმპიური მოძრაობის წარსულსა და დღევანდელობაზე. ორტომეულში შესულია 4 ათასამდე ფოტო და სხვა ვიზუალური მასალა. ფოტოების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნდება პირველად.

საზეიმო მიღების მსვლელობისას დიდ ეკრანზე გადიოდა საიუბილეო ღონისძიებისთვის მომზადებული დოკუმენტური ფილმი, გამოფენილი იყო ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების პერსონალური ბანერები, ასევე მოეწყო ფოტოგამოფენა, რომელიც ასახავდა სეოკ-ის 30-წლიანი ისტორიის მთავარ ამბებს.

ძირითადი საზეიმო ღონისძიების დაწყებამდე თბილისის ჭადრაკის სასახლის შესასვლელთან გაიხსნა მემორიალური დაფა წარწერით: **„ამ შენობაში 1989 წლის 6 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენცია.“**

ბეჟან დოლიძე

◎ კარატე

გზად ტოკიოსკენ

ზუგდიდელმა **გოგიტა არქანიამ მოსკოვში გამართული პრემიერლიგის ოქროს მედალი მოიპოვა. ქართული კარატეს ოფიციალური ფეისბუქ-გვერდის ინფორმაციით, ეს ერთ-ერთი საკვალიფიკაციო ეტაპია ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად, რომელიც 2020 წელს ამ სახეობაში პირველად ტოკიოში გაიმართება.**

ქართველმა სპორტსმენმა ფინალურ შეხვედრაში ტიტულოვანი ირანელი მეტოქე საჯად განზადე დაამარცხა.

გოგიტა არქანია პირველი ქართველი კარატისტია, რომელიც WKF-ის ვერსიით 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ის ასევე არის ევროპული თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი.

გოგიტა არქანია აფხაზეთიდან დევნილია. სპორტსმენი ზუგდიდში 18 წლამდე ცხოვრობდა.

კობა კობახიძე

◎ თანამშრომლობა

დოპინგთან საბრძოლველად

შვიდმა საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციამ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) ანტისადოპინგო განყოფილებასთან (ADD) თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერა ხელი.

ხელმომწერთა შორის არიან ტრიატლონის საერთაშორისო კავშირი (ITU), თხილამურობის საერთაშორისო ფედერაცია (FIS), მსოფლიო მშვილდოსნობა (WA), ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FISA), ტყვიის სროლის საერთაშორისო ფედერაცია (ISSF), ციგაობის საერთაშორისო ფედერაცია (FIL), ბობსლეისა და სკელეტონის საერთაშორისო ფედერაცია (IBSF).

შეთანხმების თანახმად, ანტისადოპინგო განყოფილება აღნიშნულ საერთაშორისო ფედერაციებში ანტისადოპინგო წესების დარღვევათა გამოძიებით დაკავდება.

CAS-ის ანტისადოპინგო განყოფილება ანტისადოპინგო საკითხების განსახილველად და გადაწყვეტილებათა მისაღებად შეიქმნა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ძველი გვარდია

„ოქროს“ სტარტი

თბილისის სპორტის სასახლეში ვეტერან მოჭიდავეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატი გრძელდება.

როგორც ბერძნულ-რომაულ, ასევე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ტურნირი ხუთ ასაკობრივ კატეგორიაში, ექვს სხვადასხვა წონაში იმართება.

ზურაბ წიქარიძემ (100 კგ) ფორუმის პირველ დღეს ფინალში რუსი ალექსანდრ არხანგელსკი 2:1 დაამარცხა და პლანეტაზე უძლიერესის ტიტული მეოთხედ მოიპოვა, ხოლო 88 კგ-ში ვერცხლის მედალი შმაგი გოქაძემ დაიმსახურა.

მსოფლიოს ჩემპიონატის პარალელურად, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით თბილისში სამსაჯო კურსებიც ტარდება, რომელშიც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ხუთი ქართველი არბიტრიც მონაწილეობს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

ყველანი ჩამოვიდნენ

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო — 2020-ის მოახლოებული შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს. საწვრთნელი შეკრების მეორე დღეს გუნდს შვიდი ლეგიონერი შეუერთდა და ვლადიმირ ვაისის განკარგულებაში 21 ფეხბურთელი იყო, ხოლო დღის ბოლოს „ჯვაროსნებს“ ვაკო ყაზაიშვილი და გურამ კაშიაც დაემატნენ.

გუშინ დილით ბიჭებმა ივარჯიშეს, შემდეგ კი მოზარდ გულშემატკივრებთან ერთად საქართველო-ირლანდიის შეხვედრისადმი მიძღვნილ აქტივობაში ჩაერთვნენ

შეგახსენებთ, რომ ვლადიმირ ვაისის გუნდი 12 ოქტომბერს 17 საათზე ირლანდიას თბილისში დაუხვდება, ხოლო სამი დღის შემდეგ გიბრალტარს სტუმრად დაუპირისპირდება.

გიორგი ზოთაძე

თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქობისთვის ემზადება

UNESCO-ს ინიციატივით, ყოველწლიურად ერთ-ერთი ქალაქი **წიგნის მსოფლიო დედაქალაქი ხდება.2021 წლის 23 აპრილიდან, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, ეს სტატუსი თბილისს მიენიჭება.**

წიგნის მსოფლიო დედაქალაქი ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც 2002 წელს UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. ის მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკებისა და გამომცემლების ხელშეწყობას.

რას მოუტანს ეს სტატუსი დედაქალაქს?

„არიან ქვეყნები, რომლებიც კონკურსში რამდენჯერმე იღებენ მონაწილეობას, თუმცა ვერ ახერხებენ ამ წოდების მიღებას, ჩვენ კი პირველივე ცდაზე შევძელით. ეს ჩვენი ქალაქისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, მწერლებისთვის, პოეტებისთვის. მათ ექნებათ შესაძლებლობა, ჩაერთონ მთელი წლის მანძილზე დაგეგმილ ღონისძიებებში. ასევე ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოვა დედაქალაქში და თბილისისა და ქვეყნის პოპულარიზაციისთვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება“, — ამბობს ქალაქის მერი **კახა კალაძე.**

დედაქალაქის მერიას, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმედი აქვს რომ ამ ღონისძების გამო თბილისში 2021 წელს 500 000-დან 1 000 000-მდე ტურისტი ჩამოვა.

ვის ვაჯობეთ კონკურსში?

15 პრეტენდენტი ქვეყნიდან სამი ფინალისტი დასახელდა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საქართველო.

„იუნესკოს“ შეფასებაში ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რის გამოც არჩევენ გამარჯვებულ ქვეყანას, არის ის, თუ რამდენად მდგრადია პროექტი და რამდენად არის გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე. მაგალითად, ჩვენ თუ გავაკეთებთ საბავშვო ბიბლიოთეკას, ეს იმას ნიშნავს, რომ ის დარჩება ქალაქს, ბიბლიოთეკები ახალი წიგნებით შეივსება და ა.შ. ეს არის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იმ დიდი პროექტისა, რომელიც უნდა განხორციელდეს“, — გვეუბნება თბილისის მერიის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების აღმასრულებელი დირექტორი **ნინია მაჭარაშვილი.**



რა შეიცვლება დედაქალაქში ახალ სტატუსთან ერთად?

- **გაიმართება წიგნის რამდენიმე ფესტივალი, კონფერენციები და კონკურსები;**
- **შეიქმნება აპლიკაციები და ინტერაქტიული წიგნები პატარებისთვის;**
- **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში გაიხსნება წიგნის კუთხეები;**
- **ტურისტებისთვის შეიქმნება თბილისის ლიტერატურული რუკა, რომელზეც დატანილი იქნება მუზეუმები, გამომცემლობები, ლიტერატურული კაფეები;**
- **შეიქმნება ცხელი ხაზი, სადაც მკითხველებს წიგნების თაობაზე რჩევებს მისცემენ;**
- **აუდიოწიგნები გაიუღერებს რადიოში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში;**
- **შეიქმნება 24-საათიანი უფასო ბიბლიოთეკა.**

წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის მოსაპოვებლად თბილისის მერიამ და თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ განაცხადი,საქართველოს „იუნესკოს“ საქმეთა ეროვნული კომისიის (საგარეო საქმეთა სამინისტრო) მხარდაჭერით, მიმდინარე წლის მაისში წარადგინეს. კონკურსში თბილისის გამარჯვება 7 ოქტომბერს UNESCO-ს გენერალურმა დირექტორმა **ოდრი აზულემ** გამოაცხადა.

წელს წიგნის დედაქალაქი შარჟაა, რომელმაც სტატუსის მოპოვება მერვე ცდაზე მოახერხა. მეხუთე ცდაზე გაუმართლა მალაიზიის დედაქალაქ კუალა ლუმპურს. ის შარჟასგან ტიტულს 2020 წელს გადაიბარებს, თბილისი კი 2021 წელს, ერთი წლის მანძილზე, დაძმობილებული ქალაქების წარმომადგენლებსა და „იუნესკოს“ წევრებთან ერთად აუდიტორიას სხვადასხვა ღონისძიებებს შესთავაზებს.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს

შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

1. ტექნიკოსი – 1 ერთეული (ბორშემცველი და ფხვნილოვანი მასალების ლაბორატორიაში)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2019 წლის 08 ნოემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელფოსტის ან ტელეფონის საშუალებით. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

აშშ-ის „მწვანე ბარათის“ გათამაშება დაიწყო!!!

„მწვანე ბარათის“, ანუ Green Card-**ის გათამაშებაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო. 5 ნოემბრამდე, განაცხადის შევსება საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს შეუძლია, ვისაც საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აქვს. ერთ განმცხადებელს მხოლოდ ერთი განაცხადის შევსება შეუძლია. განაცხადის შეტანა უფასოა.**

საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები განმცხადებლებს ურჩევენ, განაცხადები სარეგისტრაციო პერიოდის დასაწყისშივე შეიტანონ, რადგან სარეგისტრაციო პერიოდის ბოლოს, დიდი მოთხოვნის გამო, სისტემის მუშაობა შეიძლება საგრძნობლად შენელდეს.

განაცხადი ამ ვებგვერდზე უნდ შეავსოთ: dvlottery.state.gov

ინფორმაცია, რომელიც „მწვანე ბარათის“ შევსებაში დაგეხმარებათ:

1. რეგისტრაცია იწყება 2 ოქტომბერს 20:00 საათზე;
2. რეგისტრაცია მთავრდება 5 ნოემბერს, 21:00 საათზე;
3. რეგისტრაცია უფასოა;
4. უნდა დარეგისტრირდეთ მხოლოდ ამ გვერდზე: www.dvlottery.state.gov;
5. ნუ მიმართავთ დამხმარე ორგანიზაციებს, ვინაიდან დიდია თაღლითობის რისკი;
6. რეგისტრაციისას მოგენიჭებათ უნიკალური კოდი, რომელიც უნდა შეინახოთ;
7. სტატუსის გაგებას შეძლებთ უნიკალური კოდის გამოყენებით 2020 წლის 7 მაისიდან გვერდზე: www.dvlottery.state.gov;
8. თუ სხვა ნებისმიერი გზით მიიღებთ მოგების შესახებ შეტყობინებას, ეს იქნება თაღლითობა და არ ენდოთ;
9. თქვენი მოგების შემთხვევაში აშშ-ის მთავრობა არ უზრუნველყოფს რაიმე სახის პირად მომსახურებას, როგორიცაა ავიამგზავრობის ხარჯები, საცხოვრებლის პოვნასა თუ დასაქმებაში დახმარება და სხვა;
10. შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ოფიციალურ წარმომადგენლობას. აშშ-ის საელჩოსა და საკონსულოს US Embassy Tbilisi. Georgia.

რეგისტრაციის დასრულებისას მნიშვნელოვანია, აპლიკანტმა შეინახოს დასტურის ნომერი, რომელიც გამოჩნდება აპლიკაციის ვებგვერდზე. აღნიშნული ნომრის გამოყენებით მონაწილე მომავალში სტატუსს გადაამოწმებს.

წეროვნის დევნილთა დასახლებაში საფეხბურთო სტადიონი გაიხსნა

წეროვნის **დევნილთა დასახლებაში ფონდ არველაძისა და საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს პარტნიორობით, ახალი საფეხბურთო სტადიონი გაიხსნა.**

სპორტული მოედნის რეაბილიტაცია ერთი თვის წინ დაიწყო. სამუშაოების ფარგლებში გაიზარდა მოედნის ფართობი, დაიგო ახალი თაობის ხელოვნური საფარი, დამონტაჟდა განათება და კალათბურთის ორი ახალი ფარი.

სტადიონის გახსნის დღეს, წეროვნის დევნილთა დასახლებაში ბავშვთა საფეხბურთო გუნდი ჩამოყალიბდა. 25 მოზარდით დაკომპლექტებულ გუნდს ფონდის მიერ შერჩეული მწვრთნელი კვირაში სამჯერ ავარჯიშებს.

გუნდს ვარჯიშისთვის და თამაშისთვის საჭირო საფეხბურთო ინვენტარი, ბურთები და ფორმები გადაეცა.

„ზუსტად ერთი თვეა, რაც ბავშვებს დავპირდით, რომ ახალ სტადიონს გავუკეთებდით და, მე მგონი, ეს პირობა შევასრულეთ. ძალიან დიდი მადლობა თურქეთის საელჩოს და პირადად ქალბატონ ელჩს ამ დახმარებისთვის“, — განაცხადა **შოთა არველაძემ.**

ეროვნულ მუზეუმში ანტიკური რომის მოზაიკა გამოიფინება

საქართველოს ეროვნული მუზეუმი 10 ოქტომბრიდან გამოფენას „ანტიკური რომის ფერები. მოზაიკა კაპიტოლიუმის მუზეუმებიდან“ მასპინძლობს. ეროვნული მუზეუმის ცნობით, გამოფენაზე კაპიტოლიუმის მუზეუმებიდან შთამბეჭდავი მოზაიკა იქნება წარმოდგენილი.

ეს ექსპოზიცია ხორციელდება Roma Capitale-ს (იტალიის დედაქალაქის მუნიციპალური ტერიტორიის) კულტურის განვითარების ხელშეწყობის სამსახურისა და კაპიტოლიუმის კულტურული მემკვიდრეობის ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას.

გამოფენის ნახვა ქართველ დამთვალიერებლებს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში 10 დეკემბრის ჩათვლით შეეძლებათ.

ჯენიფერ ლოპესს უჩივიან

უცხოური ტაბლოიდების ინფორმაციით, საქმე მისივე ფოტოს ინსტაგრამზე გამოქვეყნებას ეხება.

როგორც აღმოჩნდა, პროცესი ჯერ კიდევ 2017 წელს დაიწყო, როცა ცნობილმა მომღერალმა ან მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ინსტაგრამზე მისი და საქმროს ალექს როდრიგესის საერთო ფოტო გამოაქვეყნა.

სასამართლო დოკუმენტების მიხედვით სურათი სააგენტო Splash News and Picture-მა გადაიღო და ვარსკვლავის გუნდმა 2017 წელს უნებართვოდ გამოიყენა.

კომპანია ზარალის ასანაზღაურებლად 150 000 დოლარს ითხოვს.

მომღერალს ჯერჯერობით ამ თემაზე ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ამერიკელმა საქორწილო ბეჭდის საყიდლად ბანკი გაძარცვა

ტეხასის შტატის ქალაქ გროვტონში კაცმა ქორწილის წინა დღეს ბანკი გაძარცვა, რათა საქორწილო ბეჭედი ეყიდა. ამის შესახებ Daily Mail-ი წერს.

ჰიტ ედვარდ ბამპუსი Citizens State Bank-ში შეიჭრა და ფული მოითხოვა. კაცმა მოლარე გააფრთხილა, რომ შეიარაღებული იყო.

პოლიციის ცნობით, ძარცვის შემდეგ ბამპუსმა ტანსაცმელი და იარაღი ავტომობილის ფანჯრიდან გადაყარა, რომელიც მალე სამართალდამცველებმა იპოვეს.

ამასთან, ბანკიდან ამოღებული სათვალთვალო კამერით გადაღებული კადრები Facebook-ზე გამოქვეყნდა, რომელშიც ეჭვმიტანილი ჩანდა. საცოლემ ბამპუსი ამოიცნო და მას პოლიციაში მისვლა მოსთხოვა. საბოლოოდ, კაცი სამართალდამცველებს ჩაბარდა.

ბამპუსმა თანხის დიდი ნაწილი დააბრუნა, ამასთან ის განაჩენის გამოტანამდე დააპატიმრეს. მას ბრალი ძარცვის ბრალდებით წაუყენეს.

ჰოლანდიელები ხელოვნურ საშვილოსნოს შექმნიან

ევროკავშირმა ჰოლანდიელ მკვლევარებს ხელოვნური საშვილოსნოს პროტოტიპის შესაქმნელად 2,9 მილიონი ევრო გადასცა. ამის შესახებ The Guardian-ი წერს.

გამოცემის ინფორმაციით, გრანტი ეინდჰოვენის ტექნოლოგიის უნივერსიტეტმა მიიღო, რომელიც ამ პროექტზე უკვე მუშაობს. თანამედროვე ინკუბატორებისგან განსხვავებით, მათ მიერ გამოგონილი ხელოვნური საშვილოსნო ნაადრევად დაბადებულ ჩვილებს ბუნებრივ პირობებს შეუქმნის. პატარები სითხეში მოთავსდებიან, ჟანგბადსა და მკვებავ ნივთიერებებს კი ხელოვნური პლაცენტის მეშვეობით მიიღებენ, რომელიც მათ ჭიპლართან იქნება დაკავშირებული.



სპეციალისტების თქმით, ასეთი მიდგომა უკეთესი იქნება ახალშობილებისთვის, რომლებსაც ფილტვები ბოლომდე არა აქვთ განვითარებული. ასეთ შემთხვევაში ჟანგბადის პირდაპირ მიწოდებას ორგანოების დაზიანება შეუძლია. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ პირველ მოქმედ მოდელს 5 წელიწადში შექმნიან.

2017 წელს ფილადელფიის ბავშვთა ჰოსპიტალში მეცნიერებმა ნაადრევად დაბადებული ახალშობილებისთვის პირველი ხელოვნური საშვილოსნო შექმნეს, რომელიც ბატკნებზე გამოსცადეს.

ძაღლის ყოლა ნაადრევი სიკვდილის რისკს ამცირებს

ძაღლის ყოლა ნაადრევი სიკვდილის რისკს 24%-ით ამცირებს. ამის შესახებ CNN ამერიკელი მეცნიერების ახალი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წერს.

გამოცემის ინფორმაციით, კვლევის ავტორებმა დაახლოებით 4 მილიონი ადამიანის მონაცემით იხელმძღვანელეს, რომლებიც 70 წლის განმავლობაში აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიაში სხვადასხვა კვლევებისთვის შეაგროვეს.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თუ ადამიანს, რომელმაც გულის შეტევა გადაიტანა სახლში ძაღლი ჰყავს, შეტევის გამეორების რისკი 33%-ით ნაკლებია მათთან შედარებით, ვისაც ძაღლი არ ჰყავს. ინსულტის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 27%-ს შეადგენს.

მსგავსი კვლევა შვედმა მეცნიერებმაც გამოაქვეყნეს. მათ დაასკვნეს, რომ ძაღლის ყოლა მარტოხელა მოხუცებისთვის ძალიან სასარგებლოა.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ძაღლის ყოლის ადამიანის ჯანმრთელობის გავლენაზე უფრო ზუსტი შედეგების მისაღებად კლინიკური ცდების ჩატარებაა საჭირო.

ბრიტანელმა „ევრომილიონის“ ჯეკპოტი მოიგო

ბრიტანელმა „ევრომილიონის“ ჯეკპოტში სრული საპრიზო თანხა 170 მილიონ 221 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიგო და ამ თანხით ბრიტანეთში გათამაშებულ ჯეკპოტებს შორის ყველაზე მდიდარი გამარჯვებული გახდა. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

უცნობია გამარჯვებული პირის ვინაობა, თუმცა ცნობილია ის იღბლიანი რიცხვები, რომლითაც მან ჯეკპოტი მოიგო: 7, 10, 15, 44 და 49, იღბლიანი რიცხვები კი 3 და 12-ია.

იღბლიანმა ბილეთის მფლობელმა 2011 წელს გათამაშებული ჯეკპოტის რეკორდი მოხსნა, მაშინ კოლინ და კრის ვეირებმა 161 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„ კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9683; ევრო - 3.2625;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6270;
100 რუბლი - 4.5614; თურქული ლირა - 0.5086;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7460;
1000 სომხური დრამი - 6.2268.

ამინდი 10 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge